№ 14. წელიწადი პირველი
ფასი ყველგან 15 კაპ.

# დროშა




საერთაშორისო წითელი დღე და იმპერიალიზმი.



ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი, რომელსაც შეუსრულდა 70 წელი დაბადებიდან.





**ბილიარდი და ტენისი წყალზე.** ამერიკელების ფანტაზიამ მიაღწია უმაღლეს მწვერვალს. კალიფორნიაში, სადაც, ზაფხულობით არაჩვეულებრივათ ცხელა, სცადეს ბილიარდის თამაში ხმელეთიდან წყალზე გადაეტანათ, კლუბების დახურულ შენობებიდან—მცურავ ბასეინებში. ამ მიზნით გააკეთეს მცურავი ბურთები, რომლებიც წყალში არ იძირებიან. ღელვა წყლის ზედაპირზე თამაშს უფრო საინტერესოთ ხდის, ვინაიდან არის შემთხვევები კურიოზული აცდენის. პარტნიორებმა უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე წყლის ის წინააღმდეგობა, რომელსაც იწვევს ყოველი მათი მოძრაობა.

მაგრამ ამითიც არ დაკმაყოფილდნენ და წყალზე გადაიტანეს ტენისიც. რა თქმა უნდა ეს უკვე ლაუნ-ტენისი აღარ არის, არამედ უოტერ ტენისია, ვინაიდან თამაში სწარმოებს არა მინდორზე (ინგლისურად—„ლაუნ") არამედ მცურავი ბასეინის ზედაპირზე („უოტერ"—წყალი). ბადე იგივე რჩება რაც „ხმელეთის" ტენისის დროს, ოღონდ ბურთი ჩვეულებრივზე დიდია და რაკეტები მთლიანად ხისაა.

სურათზე—ზევით—ბილიარდი წყალზე, ქვევით—ტენისი წყალზე.



მარგარიტა ბონფილდ — შრომის მინისტრი მაკდონალდის კაბინეტში, რომელმაც პოლიციელების საშუალებით გარეკა სამინისტროდან უმუშევართა დელეგაცია.



უმუშევრობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ვენაში, იარმუკობის შემდეგ უმუშევარი თავის ქალიშვილით არჩევენ ნაგავიდან გადაყრილ სანოვაგეს, უმთავრესად მწვანილეულს. ნაწილს იქვე სჭამენ, ნაწილი კი მიაქვთ სახლში სადილის გასაკეთებლად.



საბჭოთა მეურნეობამ გამოიწერა და მიიღო ახალი მანქანები რომლითაც ჰკრეჭენ ცხვრებს და ამავე დროს მატყლი სხვადასხვა ხარისხებათ ნაწილდება და ტომრებში იყრება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 14. 1929 წ. 1 აგვისტო

# დროშა

# იმპერიალიზმის წინააღმდეგ—საბჭოთა კავშირის დასაცავად

## (საერთაშორისო წითელი დღის გამო)

ყ. წულაძე

15 წელი გავიდა იმ კატასტროფის დღიდან, რომელიც კაცობრიობას თავს დაატეხეს იმპერიალისტებმა. 1914 წლის აგვისტოს დღეები, როცა კაპიტალისტთა ერთ მუჭა ხროვის ინტერესების გულისათვის მსოფლიო გაეხვია საშინელი, განმანადგურებელი ომის ცეცხლში, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას, კიდევ ათეული წლების განმავლობაში არ ამოიშლება ეხლანდელი თაობის მეხსიერებიდან.

10 მილიონამდე მოკლული, 20 მილიონამდე დაჭრილ-დასახიჩრებული და 700 მილიარდი მანეთის განადგურებული სიმდიდრე,— აი რა მსხვერპლი გაიღეს მშრომელმა მასებმა იმისათვის, რომ ინგლის-ამერიკა-გერმანია-რუსეთ-იტალიისა და სხვა ქვეყნების კაპიტალისტები მსოფლიო ბაზრებისა და კოლონიების გაყოფაში ვერ მორიგდნენ.

თითეული ქვეყნის იმპერიალისტები აცხადებდნენ, რომ იბრძვიან „პროგრესისა და თავისუფლებისათვის“, ყველაზე მეტს „პროგრესსა და თავისუფლებაზე“, რომელსაც „ემუქრება ტლანქი გერმანიზმი“, ლაყბობდა ე. წ. ანტანტა, იმ სახელმწიფოთა კოალიცია ინგლის-საფრანგეთის მეთაურობით, რომელიც გერმანიასა და მის მოკავშირეებს ებრძოდა.

გერმანია დამარცხდა ომში და „ტლანქი გერმანიზმის“ საფრთხე გაქრა. ამიერიდან თითქო აღარაფერი უშლიდა ხელს ქვეყნიერებაზე „სამართლიანობის დამყარებას“. „პროგრესის“ ქურუმებმა გერმანიას და მის მოკავშირეებს თავს მოახვიეს საზავო პირობები, რომლის ყაჩაღური ხასიათი ნათელყოფს ანტანტის იმპერიალისტების „მშვიდობიანობის მოყვარეობის“ ნამდვილ ბუნებას.

10 წელი გავიდა ამ მტაცებლურ „ზავის“ დადების დღიდან და კაცობრიობა კვლავ ახალი ომის საშინელების წინაშე იმყოფება.

1914-18 წ. ომმა ვერ გადასჭრა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობის მთავარი საკითხი: მსოფლიო ბატონობის საკითხი. ინგლისელი კაპიტალისტები, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ ინგლისი გახდება მსოფლიო ჰეგემონი და ქვეყნიერების საქმეთა განუკითხავი განმგებელი, მოსტყუვდნენ ანგარიშში. გერმანიის ადგილი დაიკავა შეერთებულმა შტატებმა, რომელიც გაცილებით უფრო საშიში მეტოქეა ინგლისისათვის, ვიდრე გერმანია იყო 1914 წლამდე. თუ ინგლის-შეერთებული შტატები მსოფლიო ბატონობისათვის ებრძვიან ერთმანეთს, დანარჩენ სახელმწიფოთაც აქვთ თავისი „ანგარიშები“: საფრანგეთს ეშინია გერმანიის აღდგენის, ეშინია იტალიის, რომელიც ეპოტინება მის კოლონიებს აფრიკაში, ეშინია ინგლისის, რომელიც ცდილობს ძირშივე ჩაკლას საფრანგეთის ყოველი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ გახდეს ევროპის ბატონ-პატრონი; იტალია ცდილობს ხმელთა შუა ზღვა კვლავ აქციოს „თავის ზღვათ“, როგორც დიდი რომის დროს იყო და დაეპატრონოს ჩრდილოეთ აფრიკას, საიდანაც ისინი განდევნეს ფრანგმა იმპერიალისტებმა; გერმანია ოცნებობს კოლონიების დაბრუნებაზე და ვერსალის სამარცხვინო „საზავო“ პირობების გაუქმებაზე; პოლონეთი არ კმაყოფილდება მრავალ მილიონიან სხვადასხვა ეროვნებებით დასახლებული ტერიტორიებით და ლამობს საბჭოთა უკრაინისა და ლიტვის გადაყლაპვას; რუმინეთი დაჭკანკალებს დაპყრობილ ბესარაბიას; შორეულ აღმოსავლეთში იაპონია ოცნებობს მანჯურიის მადაყლაპვაზე და ჩინეთის გადაქცევაზე თავის კოლონიათ და სხვ. როგორც ვხედავთ მიზეზები ახალი ომისათვის მრავალია, საომრათ კი საჭიროა სამხედრო გემები, ტანკები, აეროპლანები,



**ჟორესი უკანასკნელ მიტინგზე, სადაც გაილაშქრა იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.**

თოფ-ზარბაზნები. მთელი მსოფლიო შეიარაღების ციებ-ცხელებას ჰყავს შეპყრობილი. აი ზოგიერთი ციფრები ამის საილუსტრაციოდ:

პირველ რიგში აღსანიშნავია სამხედრო ტვირთის არაჩვეულებრივი ზრდა.

**სამხედრო ხარჯები სულზე შეადგენდა*):**

| | 1909 წ. | 1927 წ. |
|---|---|---|
| ინგლისში | 13 მ. 90 კაპ. | 23 მ. 55 კ. |
| საფრანგეთში | 10 „ 60 „ | 14 „ 58 „ |
| იტალიაში | 5 „ 05 „ | 8 „ 29 „ |
| გერმანიაში | 9 „ 20 „ | 5 „ 25**) „ |
| იაპონიაში | 4 „ 15 „ | 6 „ 75 „ |
| შეერთ. შტატებში | 7 „ 35 „ | 9 „ 68 „ |

*) იხ. დიდი საბჭ. ენციკლ. ტ. XII „სამხ. ბიუჯეტი“.

**) ვერსალის ზავით გერმანიის შეიარაღების ფარგლები შეზღუდულია.

არმიების შემადგენლობა საგრძნობათ გაიზარდა 1913 წ. შედარებით, განსაკუთრებით თუ სამხედრო რეზერვებს მივიღებთ მხედველობაში. აჰა მაგალითად:

**არმიების შემადგენლობა უდრიდა[1])**

| | 1913 წ. | 1928 წ. | რეზერვებით |
|---|---|---|---|
| შეერთ. შტატ. | 22[illegible].000 | 413.000 | 3.500.000 |
| საფრანგეთის | 546.000 | 695.000 | 5.500.000 |
| ინგლისის | 516.000 | 381.000 | 4.500.000 |
| იტალიის | 264.000 | 359.000 | 4.000.000 |
| იაპონიის | 275.000 | 2[illegible]8.000 | 3.200.000 |
| | 1.827.000 | 2.066.000 | 20.700.000 |

იმპერიალისტების საომარი მზადების არანაკლებ ნათელ სურათს იძლევა სამხედრო ავიაციის განვითარების ციფრები [2]):

**აეროპლანები და გიდროპლანები**

| | | | განზრახულია აგება | |
|---|---|---|---|---|
| | 1923 წ. | 1928 წ. | 1930 წ. | 1932 წ. |
| საფრანგეთი | 1.35 | 1.650 | 2.000 | 2.500 |
| ინგლისი | 4[illegible]0 | 850 | 1.000 | 1.200 |
| შეერთ. შტატ. | 420 | 950 | 1.200 | 1.300 |
| იტალია | 250 | 600 | 1.000 | 1.200 |
| იაპონია | 150 | 430 | 600 | 800 |

ამას უნდა დაემატოს კიდევ სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტის ზრდა, განსაცვიფრებელი ტეხნიკით მოწყობილ დრედნოუტების და წყალქვეშა ნავების აგება. ომი ქიმიურ საშუალებების წარმოების ზღაპრული განვითარება, ძველი საომარი საშუალებების (თოფები, ტყვიამფრქვევები, არტილერია) გაუმჯობესება და სხვ., და ნათელი შეიქნება, რომ მთელი კაცობრიობა იმყოფება ვულკანზე, რომლის ამოხეთქა მხოლოდ ხელსაყრელი მომენტის საკითხია.

მაგრამ ერთი დიდი არსებითი განსხვავებაა 1914 წლის ომის წინანდელ და ახლანდელ მდგომარეობას შორის.

15 წლის წინათ, მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, მეორე ინტერნაციონალის ბელადები მხარში ამოუდგნენ თავიანთი ქვეყნების კაპიტალისტურ მთავრობებს და საერთაშორისო მუშათა კლასი თავმოკვეთილი დარჩა უდიდეს საბედისწერო მომენტში.

ახლა მუშათა კლასს ჰყავს ნამდვილი რევოლუციონური შტაბი—კომუნისტური ინტერნაციონალი, რომლის ხელმძღვანელობით ის ებრძვის მილიტარიზმს, იმპერიალიზმსა და კაპიტალიზმს. სოციალ-შოვინისტური პარტიების გვერდით არსებობენ კომუნისტური პარტიები რომლებიც მთავრობების გაშმაგებული ტერორისა და სოციალ-შეთანხმებლების გაათრებული იერიშების მიუხედავად უფრო და უფრო მეტ მასებს რაზმავენ თავის გარშემო. საომქალაქო ზავის იდეა, რომელსაც ომის დროსა და ახლაც ქადაგობს საერთაშორისო მენშევიზმი,

[1]) „კომუნისტური ინტერნაციონალი“ № 23-24, ამხ. ბ ა რ ბ ე ს წერილი: „1-ლი აგვისტო და ჩვენი ანტიმილიტარისტული ბრძოლა“.

[2]) იქვე.

საბოლოოდ სახელგატეხილია მასების თვალში. მასები შეუჩერებლად მიდიან მარცხნივ, კომპარტიის დროშის ქვეშ. სოციალ-შეთანხმებლები ასევე შეუჩერებლად მიდიან მარჯვნივ. ისინი უკვე აღარ კმაყოფილდებიან იმპერიალისტების შირმის როლით, არამედ აქტიურად გამოდიან თოფ-ზარბაზნებით მუშათა კლასის წინააღმდეგ (მაგალითი—პირველი მაისის ამბები ბერლინში); ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამხედრო ღონისძიებების გატარების საქმეში (საფრანგეთის სამხედრო მშენებლობის უკანასკნელი პროგრამა დამუშავებულია „სოციალისტ" პოლ ბონკურის ხელმძღვანელობით; გერმანელი მენშევიკები აგებენ ჯავშნოსნებს და ამუშავებენ სამშობლოს დაცვის პროგრამას; ინგლისელი მენშევიკები განაგრძობენ კონსერვატორების სამხედრო-საზღვაო პოლიტიკას). მენშევიზმი და ბურჟუაზია ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედობს.

კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციონური მუშათა კლასი ხედავს ცოცხალ მაგალითს იმისას, თუ როგორ უნდა ბრძოლა კაპიტალიზმთან და სოციალიზმის შენება. საბჭოთა კავშირის—მშრომელთა სახელმწიფოს არსებობა—დაუშრეტელი მორალურ ძალებს ჰმატებს საერთაშორისო მუშათა კლასს და უდიდეს რევოლუციონურ ფაქტორს წარმოადგენს.

ამასთან ერთად იზრდება და ფართოვდება ნაციონალურ-რევოლუციონური მოძრაობა კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოლონიალური ბატონობის შენობას ძირი ეთხრება და იგი ეს-ეს არის დაინგრევა.

კაპიტალისტები გრძნობენ, რომ ასეთ პირობებში ომის დაწყება სახიფათოა. რომ სანამ მუშათა კლასის რევოლუციონური ნებისყოფა ჩაკლული არ არის, ადვილი შესაძლებელია შეიარაღებულმა მასებმა იმათ წინააღმდეგ მოაბრუნონ თოფი, ვინც ისინი ერთმანეთის საჟლეტად გაგზავნა.

ამიტომ კაპიტალისტები სოციალ-შეთანხმებლების დახმარებით ცდილობენ მოსდრიკონ მუშათა კლასი, ჩაახშონ მისი პროტესტის ხმა და ბრძოლის ყიჟინა. ყველა ქვეყნებში აგორდა რეაქციის საშინელი ტალღა. მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიები თავის სიმკაცრით არ ჩამოუვარდება, ზოგჯერ კი კიდეც სჭარბობს მეფის მთავრობის ჟანდარმულ-პოლიციურ ტერორს. ტერორის ტალღა ძლიერდება კოლონიებშიც. პარალელურად მიმდინარეობს საომარი სამზადისი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლის მუშები მაგალითს აძლევენ თავიანთ ძმებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, თუ როგორ შეიძლება ცხოვრება უკაპიტალისტებოდ.

მაგრამ ბურჟუაზია სოციალ-შეთანხმებლების დახმარებისა და მუშათა კლასთან ბრძოლაში საომარი ტეხნიკის გამოყენების მიუხედავად ვერ ახერხებს რევოლუციონური ტალღის უკუქცევას. მეორე ინტერნაციონალის პარტიების ლალატმა თვალები აუხილა მასებს და დაანახვა მათ, რომ თავისუფლების მოპოება შეიძლება მხოლოდ ბარიკადებზე, რომ იმპერიალისტური ომები არ მოისპობა სანამ ბატონობენ კაპიტალისტები.

ამიტომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ერთსულოვნად გამოეხმაურა კომინტერნის მოწოდებას—წითელი საერთაშორისო დღის ჩატარების შესახებ.

მშრომელთა მრავალრიცხოვანი კონგრესები, კონფერენციები, კრილობები, რომლებიც გაიმართა კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო ცენტრებში, მოწმობენ, რომ მსოფლიო მუშათა კლასი მზად არის საბრძოლველად, რომ ის უფლებას არ მისცემს კაპიტალისტებსა და მათ მოკავშირე სოციალ-შეთანხმებლებს [illegible] ომის ცეცხლში გახვიონ ქვეყნიერება, დაიწყონ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც იმპერიალისტების ათასგვარი ხრიკების და პროვოკაციის მიუხედავად მშვიდობიანობის ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენს. პროლეტარიატი ემზადება იმისათვის, რომ თავისი ბელადის ვ. ლენინის ანდერძის თანახმად იმპერიალისტური ომი გადააქციოს სამოქალაქო ომად კაპიტალიზმის დამხობის მიზნით.

მთელი მოსამზადებელი მუშაობა წითელი დღის—პირველ აგვისტოს ჩასატარებლად მიმდინარეობს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგით.

კაპიტალისტურმა მთავრობებმა და სოციალ-შეთანხმებლებმა ყველა ზომები მიიღეს იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ წითელი დღის ჩატარებას. კომპარტიის მუშაკებზე, რომლებიც სათავეში უდგიან მოსამზადებელ მუშაობას, პოლიცია ნადირობს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; ბევრგან წითელი დღე სრულიად აკრძალულია; მთავრობები ახდენენ ჯარებისა და პოლიციის მობილიზაციას, რომ 1-ლ აგვისტოსაც პირველი მაისის მსგავსად სისხლიანი აბანო მოუწყონ მუშებს. მაგრამ მუშათა კლასი მედგრად არის.

და პირველ აგვისტოს, მიუხედავად კაპიტალისტური მთავრობების რეპრესიებისა და სოციალ-შეთანხმებლების წინააღმდეგობისა, მსოფლიოს კიდით კიდემდე მოედება ყიჟინა:

ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს  წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ— ს ა ბ ჭ ო თ ა  კ ა ვ შ ი რ ი ს  დ ა ს ა ც ა ვ ა დ.

---

# 1914-18 წ. ომის შედეგები

ნ. რ—ძე.

1914-18 წ. ომმა თავისი განმანადგურებელი ხასიათითა და შედეგებით დაჩრდილა ყველა ხოცვა-ჟლეტა, რომელიც კი ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.

მასში მონაწილე ადამიანთა რიცხვის და ტეხნიკის მიღწევების გამოყენების მხრივ უკანასკნელი მსოფლიო ომი რაღაც განსაკუთრებულ და არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

არც ერთ ომში მანამდე მონაწილეობა არ მიუღია ასეთ დიდ მასებს, როგორც ამ ომში.

იმ დროს, როცა ყველა ომებში, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1856 წლიდან 1905 წლამდე (ამაში შედის ჩრდილოელების და სამხრეთლების ბრძოლა 1860-65 წ., ჩრდ. ამერიკაში) მონაწილე შეიარაღებული ძალების რაოდენობა დაახლოებით 20 მილიონს უდრიდა, 1914-18 წ. მსოფლიო ომში ეს ციფრი თითქმის 70 მილიონამდე აღწევს.

ქვემოდ მოყვანილი ციფრები ნათელყოფს, თუ რამდენი ხალხი გამოიყვანეს იმპერიალისტებმა საზარბაზნე ხორცად:

ინგლისმა — 8.586.000, რუსეთმა—15.800.000, საფრანგეთმა — 8.407.000, ბელგიამ — 500.000, შეერთ. შტატებმა — 3.483 000, იტალიამ — 5.250.000, რუმინეთმა—800.000, სერბიამ (და ჩერნოგორიამ)—750.000, გერმანიამ—14.000.000, ავსტრიამ — 9.000.000, თურქეთმა — 2.500.000 ბულგარეთმა—600.000, იაპონიამ—35.000, პორტუგალიამ — 45.000, საბერძნეთმა — 200.000. ს უ ლ—69.956.000 კაცი.

ამ ხალხიდან 10 მილიონი ადამიანი დაეცა ბრძოლის ველზე, 20 მილიონი, თუმცა სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ შრომის უნარ დაკარგული და დასახიჩრებული დაუბრუნდა თავის ოჯახს:

| | მოკლულთა რიცხვი | დაჭრილ-დასახიჩ. რიცხვი |
|---|---|---|
| ინგლისი . . | 689.246 | 2.035.965 |
| რუსეთი . . | 2.550.000 | 5.700.000 |
| საფრანგეთი . | 1.386.000 | 2.800.000 |
| ბელგია . . . | 100.000 | 150.000 |
| შეერთ. შტატ. | 75.000 | 73.000 |
| იტალია . . . | 500.000 | 800.000 |
| რუმინეთი . . | 100.000 | 200.000 |
| სერბია . . . | 40.000 | 152.000 |
| გერმანია . . | 1.980.000 | 4.510.000 |
| ავსტრია . . | 1.440.000 | 1.980.000 |
| თურქეთი . . | 550.000 | 891.360 |
| ბულგარეთი | 96.000 | 198.000 |
| იაპონია . . . | 1.000 | 1.000 |
| პორტუგალია | 3.000 | 7.000 |
| საბერძნეთი . | 4.000 | 10.000 |
| ს უ ლ . | 9.5 4.781*) | 19.508.000 |

მსოფლიო ომმა მოახდინა მეცნიერებისა და ტეხნიკის ყველა მიღწევათა მობილიზაცია საომარი მიზნებისათვის. გარდა იმისა, რომ გაუმჯობესებულ იქნა ომის ძველი საომარი საშუალებები (თოფები, ტყვიამფრქვევები, არტილერია), პირველად და ფართე მასშტაბით იქნა გამოყენებული უახლესი მიღწევები ავიაციის, ქიმიის, რადიოსა და სხვ. დარგებში.

საომარმა ხარჯებმა მიაღწია ზღაპრულ ციფრს—416.400,000,000 მანეთს **) (ოქროთი). აქედან ცალკე სახელმწიფოთა ხარჯები უდრიდა:

ინგლისის — 88.000,000.000. საფრანგეთის—51.600,000,000, რუსეთის—45.200,000,000, იტალიის—24.600.000,000, ბელგიის—2.300,000,000, სერბიის—800,000,000, რუმინეთის—3.200,000,000, საბერძნეთის—500,000,000, შეერთებული შტატების—64.100.000,000, კანადის—3.300,000,000, ავსტრალიის—2.900,000,000, ახალ ზელანდიის—800,000,000, სამხრეთ-აფრიკის კავშირის—600,000,000, ინდოეთის—1.200,000,000, ინგლისის სხვა კოლონიების—300,000,000, იაპონიის—100,000,000, ანტანტის სხვა მოკავშირეების—1.000,000,000, გერმანიის—80.300,000,000, ავსტრია-უნგრეთის — 41.200,000,000, თურქეთის — 2.800,000,000, ბულგარეთის—1.600,000,000.

მეტად საინტერესოა ამ ზღაპრულ ციფრებთან შედარება იმის, თუ რა დაჯდა ცალკ-ცალკე ომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 113 წლის მანძილზე. დაწყებული 1793 წლიდან 1905 წლამდე.

**ომის ხარჯები 1793 წ-დან 1905 წ.**

| წლები | | ოქროს მანეთებში |
|---|---|---|
| 1793-1815 | (ნაპოლეონის ომები) | 12.500,000,000 |
| 1828 | რუსეთ-თურქეთის ომი | 200,000,000 |
| 183 -1840 | ესპანეთ-პორტუგალიის ომი . . . . . . . . | 500,000,000 |
| 1830-1847 | საფრანგეთის ომი ალჟირის დასაპყრობათ . | 500,000,000 |
| 1854-18 6 | ყირიმის ომი . . | 3 000,000,000 |
| 1859 | ავსტრია-საფრანგეთ-იტალიის ომი . . . . | 500,000,000 |
| 1861-1865 | სამოქალაქო ომი . . | 7.400,000,000 |
| 1866 | პრუსიისა და ავსტრიის ომი . . . . . . . | 200,000,000 |
| 1070-71 | საფრანგეთ-პრუსიის ომი | 3.100,000,000 |
| 1877-1878 | რუსეთ-თურქეთის ომი. | 1.900,000,000 |
| 1894-1845 | ჩინეთ-იაპონიის ომი . | 200,000,000 |
| 1904-1905 | რუსეთ-იაპონიის . . | 11.000,000,000 |
| | ს უ ლ . . | 41.100,000,000 |

*) 1793 წლიდან 1905 წ. წარმოებულ ყველა ომების დროს მოკლულთა რიცხვი სულ ხუთი მილიონს არ აღემატება.

**) ე რ ნ ე ს ტ  ბ ო გ ა რ ტ ი ს გამოანგარიშებით.

ამრიგად უკანასკნელი იმპერიალისტური ომი ათჯერ მეტი დაჯდა ვიდრე ყველა წარსული ომები 113 წლის მანძილზე.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს 416.400.000,000 მანეთი წარმოადგენს ომზე გაწეული ხარჯების ციფრს. რომ ნათელი შეიქნეს, თუ რა სიმდიდრე შთანთქა იმპერიალისტურმა ომმა, ამას უნდა მიემატოს ომით მიყენებული ზარალის (განადგურებული ქონება) ღირებულება, რომელიც იმავე ბოგარტის გამოანგარიშებით 73.600.000 მანეთს უდრის. ამრიგად ომმა შთანთქა 589,600,000.000 ოქროს მანეთი. მაგრამ ომის განმანადგურებელი შედეგები მსოფლიო ეკონომიკაში, რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება. ამხ. ე. ვ ა რ გ ა ს გამოანგარიშებით, ყოველწლიური ზარალი, გამოწვეული მოსახლეობის დანაკლისით (მოკლულები და დაჭრილ დასახიჩრებულები) უდრის 12.600,000,000 მანეთს. ამას უნდა მიემატოს კიდევ ომის ინვალიდების შესანახი ხარჯები (პენსია და სხვ.). მართალია, კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობები ომის ინვალიდთა უზრუნველყოფაზე თავს დიდათ არ იტკივებენ, მაგრამ ის მცირედი პენსიაც, რომელიც ომის ინვალიდებს ეძლევა, შეერთებული საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენს.

მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ომის შედეგად გაზრდილი სახელმწიფოთა დავალიანება.

**სახელმწიფო ვალები მილიონ ოქროს მანეთებში *)**

| სახელმწიფოები | თარიღი ომამდე | | თარიღი ომის შემდეგ | |
|---|---|---|---|---|
| შეერთ. შტატები . . . . | 31/III 1917 | 2.416 | 31/VIII 1919 | 53.094 |
| დიდი ბრიტანეთი . . . . | 1/VIII 1914 | 6.916 | 26/VII „ | 75.314 |
| კანადა . . . . . . . . | 31/III „ | 672 | 31/VII „ | 3.168 |
| ავსტრალია . . . . . . . | 30/IV „ | 186 | 31/XII 1918 | 3.288 |
| ახ. ზელანდია . . . . . | 31/III „ | 892 | 31/VII „ | 1.468 |
| საფრანგეთი . . . . . . | 31/VII „ | 13.196 | 31/III 1919 | 60.988 |
| იტალია . . . . . . . . | 30/VI „ | 6.064 | 30/V „ | 30.018 |
| იაპონია . . . . . . . . | 31/VII „ | 2.522 | 3 /III „ | 2.568 |
| რუსეთი . . . . . . . . | 1/1 „ | 10.184 | 31/VIII „ | 50.812**) |
| ბელგია . . . . . . . . | 1/1 „ | 1.444 | 1/IV „ | 3.778 |
| საბერძნეთი . . . . . . | 31/XII 1913 | 376 | 31/III „ | 1.042 |
| სულ მოკავშირეები . . . . . . . | | 44.866 | | 285.588 |
| გერმანია . . . . . . . . | 1/X 1913 | 2.330 | 30/IX 1919 | 80.014 |
| ავსტრია . . . . . . . . | 1/VIII 1914 | 5.262 | 31/X 1918 | 34.142 |
| უნგრეთი . . . . . . . . | 1/VIII „ | 3.204 | 3 /X „ | 17.818 |
| თურქეთი . . . . . . . . | 31/III „ | 1.324 | 31/VII „ | 4.004 |
| ბულგარეთი . . . . . . . | 1914 წ. ივლ. | 342 | 1919 წ. მარტი | 2.316 |
| სულ გერმანია და მისი მოკავშირეები | | 12.472 | | 138.294 |
| საერთო ჯამი . . . . . . . . . | | 57.338 | | 423.882 |

ამრიგად ჩამოთვლილ სახელმწიფოთა დავალიანება 57.338.000.000 მანეთიდან (ომამდე) 423.882.000.000 მანეთამდე (ე. ი. თითქმის 8-ჯერ) გაიზარდა „საზავო" ხელშეკრულების დადების დროისთვის. ამ ვალში სახელმწიფოები ყოველწლიურად პროცენტების სახით იხდიდნენ 18.594.000.000 მანეთს.

მაგრამ ეს არის ომის მხოლოდ მატერიალური შედეგი. გათვალისწინება 1914—18 წ. საშინელი კაცთა ჟლეტის არაპირდაპირი შედეგების, გათვალისწინება იმ გავლენის, რომელიც ომმა მოახდინა კაცობრიობის ჯანმრთელობაზე, ადამიანთა ფსიქიკაზე, მხოლოდ დაახლოებით თუ შეიძლება.

ახლა შევეხოთ ტერიტორიალურ ცვლილებებს, რომლებიც ომს მოჰყვა.

*) იხ. წერილი „მსოფლიო ომის შედეგები", გრანატის ლექსიკონი, ტომი 46, წიგნი III-IV.

**) საბჭოთა მთავრობამ გააუქმა მეფის ვალები.

ქვემოდ მოყვანილი ციფრები (ათასებში) ნათელყოფენ ამ ცვლილებების სურათს: *)

| | ომამდე | | ომის შემდეგ დაკარგა | |
|---|---|---|---|---|
| | ტერიტორია | მოსახლეობა | ტერიტორია | მოსახლეობა |
| გერმანია . . | 540,9 | 67,400 | 70,6 | 6.500 |
| ავსტრია . . | 300,0 | 28,6 | 221 | 22,2 |
| უნგრეთი . . | 325,0 | 20,9 | 222 | 8,0 |
| ბულგარეთი . | 127,0 | 4,6 | 8,8 | 0,4 |

*) იხ. ი. კ უ ლ ი შ ე რ ი—„მსოფლიო მეურნეობის მიმოხილვა".

მნიშვნელოვანი ტერიტორია და მოსახლეობა დაჰკარგა აგრეთვე თურქეთმა.

ამ ტერიტორიალური გადაჭრის წყალობით სხვადასხვა სახელმწიფოთა ფარგლებში მოექცა რამდენიმე ათეული მილიონი სხვადასხვა ეროვნების მცხოვრები, რომლებიც საშინელ ჩაგვრას განიცდიან.

გერმანიამ გარდა საკუთრივ თავისი ტერიტორიისა დაჰკარგა თავისი კოლონიები, რომელთაც ეჭირა 3 მილიონი კვ. კილომეტრი (13½ მილიონი მცხოვრებით).

ასეთია მოკლეთ 1914-1918 წლ. ყაჩაღური ომის შედეგები.

კაცობრიობა ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ამ საშინელი კოშმარისგან და იმპერიალისტები უკვე ახალ ომს ამზადებენ. ეჭვს გარეშეა, რომ ახალი ომი გაცილებით უფრო განმანადგურებელი იქნება, ვიდრე წარსული ომი იყო, რადგან იმ ათი წლის განმავლობაში, რომელმაც განვლო „ზავის" დადების დღიდან, საომარი ტეხნიკა ზღაპრულად განვითარდა და შეიქმნა კაცობრიობის განმანადგურებელი ახალი საშუალებები.

მხოლოდ მშრომელთა ერთიან რევოლიუციონურ ფრონტს შეუძლია ჩაშალოს იმპერიალისტების ეს საომარი გეგმები, ბოლო მოუღოს აუარებელი დოვლათის განადგურებას, ბრძოლის ველზე გაჟლეტას გადაარჩინოს მრავალი ათეული ათასი ადამიანი. მსოფლიო მუშათა კლასმა მტკიცედ გადასწყვიტა არ დაუშვას ომი და თუ უკანასკნელმა მაინც იფეთქა, მუშათა კლასი შეეცდება აქციოს ის სამოქალაქო ომათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საფლავი გაუთხაროს კაპიტალიზმსა და იმპერიალიზმს. საბჭოთა კავშირის მშრომელთა დიადი მაგალითი თავდებაა იმის, რომ ეს ასე იქნება.



იმპერიალისტურ ომის დროის დირიჟაბლი გემის მცველად

# ანტიიმპერიალისტურ ლიგის ხელმძღვანელნი და მონაწილენი



1) ჯემს მექსტონ, ლიგის თავმჯდომარე. 2) შოტაპადიამ, მდივანი. 3) ბურნს, ლიგის მდივანი, 4) ვილი მიუნცენბერგ, მდივანი. 5) დოქტ. ლენნე შტოკე, ლიგის საბჭოს წევრი. საპატიო თავმჯდომარეები: 6) სუნ-ძინ-ლინ (სუნიატსენის ქვრივი). 7) ალბერტ აინშტაინ. 8) მაქსიმ გორკი. 9) ანრი ბარბიუს. 10) ჯავარლალ ნეჰრუ, ლიგის აღმასკომის წევრი. 11) რ. ბრიჯდემან, ლიგის ინგლისის სექციის მდივანი. 12) ეპტონ სინკლერ. 13) პროფ. ალფონს გოლდშმიტ, 14) ალექსანდერ გოსიპ, ინგლისის მუშათა კავშირის გენერალური მდივანი. 15) მანუელ უგარტე, იტალიელი მწერალი. 16) სალვადორე დე ლა პლაცა, 17) საკლატვალა, ლიგის აღმასკომის წევრი. 18) დიეგო რივერა, მექსიკანელი მხატვარი, აღმასკომის წევრი. 19) მოჰამედ ჰატა, ლიგის აღმასკომის წევრი. 20) იოსიან ჩანგანა გუმედე, ჩრდ. ამერ. ნაც. კონგრესის თავმჯდომარე. 21) პროფ. ვილიამ პიკენს, ზანგი მწერალი. 22) მელნიჩანსკი, აღმასკომის წევრი. 23) ფან ბუა-შო ინდოჩინეთის მოძრაობის მეთაური. 24) ზოჰან სინგ იოშ, ინდოეთის მუშათა პარტიის თავმჯდომარე. 25) სენ კატაიამა, ცნობილი იაპონიელი რევოლიუციონერი.

# ინგლისელების პამპულა

ამჟამად ევროპაში მოგზაურობს ეგვიპტის „მეფე“ ფუადი.

ეგვიპტე, როგორც ვიცით, ოსმალეთის პროვინცია იყო და მას განაგებდენ ქედივები. ოსმალეთის ხელში ეგვიპტე რაოდენამდე დამოუკიდებელი იყო და ერთი ხარკის გადახდით კმაყოფილდებოდა იგი. მაგრამ ინგლისმა მოისურვა ამ ქვეყნისა და სუეცის მფლობელობა, რათა მახლობელი გზა გაეკაფა და განემტკიცებინა ინდოეთისკენ. და აი, 1882 წ. კიდევაც ჩააყენა თავისი ჯარები.

ეგვიპტის ოკუპაციის ისტორია წარმოადგენს ერთ უსაზიზღრეს მოვლენას, ვერაგობას და სიყალბით სავსე პოლიტიკას, როგორიც კი უწარმოებია ინგლისის იმპერიალიზმს.

1914 წ. როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო, მაშინდელმა ქედივმა აბას ჰილმიმ მოინდომა ეგვიპტე გაენთავისუფლებინა ინგლისელების უღლიდან, უნდოდა მიმხრობოდა გერმანიას და შეერთებოდა ოსმალეთის ჯარებს. რა თქმა უნდა, ინგლისელებს ეს არ მოეწონებოდათ და „თავხედი ქედივი“ გადმოაბრძანეს ტახტიდან და მის მაგივრად დასვეს იმის გვარისავე ჰუსეინ მეფე, როგორც ინგლისის ყურმოჭრილი ყმა და მისი ბრმა იარაღი. ჰუსეინი სულთანის სახელწოდებით სცდილობს ინგლისის ბატონობა უალრესად განმტკიცდეს ეგვიპტეში. მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა და ტახტზე ასულმა შვილმა კატეგორიულად მოითხოვა ინგლისელების ხელისუფლების თარეშის შეჩერება ეგვიპტის შინაურ ცხოვრებაში. იგი სასტიკი წინააღმდეგი გახდა მამის მიერ წარმოებული პოლიტიკისა. ეს იწყინეს ინგლისელებმა, ახალგაზრდა ტახტის მემკვიდრეს მოუსპეს საშუალება მეფობისა და ტახტი დააჭერინეს თავიანთ მორჩილ მონას, ჰუსეინის ძმას, დღევანდელ სულთანს—ფუადს. ეს მოხდა 1917 წელს, ოქტომბერში..

ამ სულთანის წყალობით ეგვიპტე უხეში ძალის ბანაკად გარდაიქმნა. ინგლისელებმა ეგვიპტეში მას მოაკრებინეს 17,000 მუშა და გლეხი, როგორც მოხალისეები. შეაქმნევინეს მთელი კორპუსი საჭარავნო და სატრანსპორტო საქმეების საწარმოებლად და სისხლის სალვრელად.

1919 წ. ფუადს ხალხი აუჯანყდა, როგორც დესპოტს. მაგრამ ამ უკანასკნელმა ინგლისელების ოქროთი მალე ჩააქრო ამბოხება და დახვრეტით და დაპყრობით უპასუხა ანტი-ინგლისურ მომქმედ პარტიის ხელმძღვანელებს, ზაგლულ ფაშას და მის მომხრეებს. ამის შემდეგ უფრო მეტად მომაგრდა ფუადი, მოლორდა, იგი დიქტატორობს, არც ერთ მთავრობას არ იწყნარებს, არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ აყენებს, თუ კი შეამჩნევს, რომ ინგლისის საწინააღმდეგოდ რაიმე აქვთ ან ამოქმედებთ.



ეგვიპტის პამპულა მეფე ფუადი, რომელიც ამჟამად ევროპაში მოგზაურობს.

1922 წ. თებერვალში ინგლისის მთავრობამ ეგვიპტისას წარუდგინა ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ეგვიპტე ჰკარგავდა დამოუკიდებლობას და სრული მონა-მორჩილი უნდა გამხდარიყო ინგლისისა. ხელშეკრულებაში ოთხი მუხლი იყო საყურადღებო. აი ესეც:

1. გზების სრულიად უზრუნველყოფა ინგლისელებისთვის.

2. ინგლისი იცავს ეგვიპტეს ყოველივე თავდასხმიდან, როგორც შინაურ ამბოხის დროს, ისე გარედან უცხო ძალების ჩარევის დროს ეგვიპტის შინაურ საქმეებში.

3. უზრუნველყოფა უცხოელთა ინტერესებისა ეგვიპტეში და მინორიტეტის დაცვა, ე. ი. ეროვნულ უმცირესობათა.

4. განუსაზღვრელი კონტროლი სუდანზე.

რა ერთი ამ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ფუადი ყოვლად შემძლებელი გახდება, მას აღიარებენ „მეფედ“ და ეგვიპტეს უფლებას ანიჭებენ იყოლიოს საკუთარი „ელჩები“.

როგორც ხელშეკრულების მთავარ მუხლებიდან ვხედავთ, ეგვიპტის დამოუკიდებლობაზე მეტია ლაპარაკი. თვით „მეფე“ ფუადი მხოლოდ პამპულას როლს ასრულებს ინგლისელების ხელში. პირობის ძალით ეგვიპტის ელჩებიც ყოველგან ინგლისის მრჩეველთა გავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდენ.

საგულისხმიერო მოვლენაა კიდევ ერთი რამ: გარდა „მეფე“ ფუადისა, ინგლისთან დადებულ ხელშეკრულებაზე დღემდე არც ერთს მთავრობას არ მოუწერია ხელი. ფუადმა, როგორც „მეფემ“, ინგლისის კარნახით ადრევე გარეკა ეგვიპტის ეგრედწოდებული პარლამენტი. დღეს „მეფე“ ფუადი ეგვიპტეს „განაგებს“ უპარლამენტოდ. მისი პარლამენტი ინგლისელების აგენტები არიან, რომელთა სამსახურშიც ფუადი ერთი ერთგულესი ყურმოჭრილი მონაა! მან მოსპო პრესის თავისუფლება, აკრძალა ეროვნულ პარტიათა კრებები, სტუდენტები ჩაალპო ციხეებში, გაანიავა მუშების ამქრები, გლეხთა კავშირები და მძვინვარებს, სადაც კი შენიშნავს რაიმე საფრთხეს.

აი ეს გახლავთ დღევანდელი მოგზაური „მეფის“ ნამდვილი სახე, რომელმაც თავისი ერის გაყიდვით, ერცხვი დამონებით შეისყიდა მეფის „დიდება“ და „ბრწყინვალება“.

მეფე ჯალათი, ინგლისელების პამპულა, ფუადი, დღეს ევროპაში დამოგზაურობს. დიდ-რეფორმატორ ამანულა ხანის მიმბაძველობასთან მხოლოდ გარეგნული სახე აქვს. სინამდვილეში ეს ორი პიროვნება სხვადასხვა სახით წარსდგებიან ისტორიის წინაშე.

ამჟამად ფუადი პარიზიდან ინგლისში გაემგზავრა. აქ მოყვანილი სურათი გვიჩვენებს ფუადის სტუმრობას ბერლინში.



მსოფლიო სასაკლაოს გმირები: დუგლას, ხეიგ, ჟოფრ და ლოიდ ჯორჯი.



მსოფლიო სასაკლაოზე გადარჩენილი ინვალიდები

ნახატი გროსის.



იმპერიალისტურ გერმანიის გენერალური შტაბი: ჰინდენბურგ, ლიუდენდორფ, ჰოფმან.

# მსოფლიო სასაკლაოზე

## სანდრო შანშიაშვილი

წისქვილში ცეცხლაპირას ვისხედით. მიწურული შემოდგომა იყო და ციოდა.

ლაპარაკობდა ომში ნამყოფი ჯარისკაცი.

— მე და ხუმარა ვანო პატარაობიდანვე ერთად შეზრდილები ვიყავით. გაგვიხარდა, როცა ერთს პოლკში მოვხვდით. იმან რუსული არ იცოდა—მე ვამტერევდი. სანამ ომი დაიწყებოდა, მე და ვანომ სამი წელი ყავლი შევასრულეთ—ამ ხნის განმავლობაში ვანოს რა არ გადახდა, ვინ მოსთვლის. მოხერხებული ბიჭი იყო—გაძვრა-გამოძვრა და პოლკში მხარეულად დაგვიყენეს. გიხარიან, მისგან კარგი პატივი მქონდა!

შინ სამი თვის მოსულები არც კი ვიყავით, ომი გამოცხადდა.

ვნახოთ, ჩვენი წლის სალდათები ხელახლად გაიწვიეს!

მე დეზერტირობა ვარჩიე, მაგრამ... ვანომ მითხრა:

ალბად სასაკლაოზე მივყევართ! მაშ ქორწილში ხომ არ დაგვპატიჟებდნენ? ნეტა ერთი მაცოდინა, რისთვის ომობენ? რაზე ომობენ? თუ მიწა აქვთ გასაყოფი, აი, როგორც ჩვენ უბანში ვიციით, პატარა წაიკინკლაობ, მერე კაცები ამოარჩიონ, გაიყონ, გამოიყონ, შერიგდენ და მალარიჩიც გადაიხადონ. ჩემმა მზემ, ჩემი ჭკუა არც მეფეს აქვს და არც მინისტრს.

გზადაგზა სულ ხუმრობდა. ხან ჩანგურს უკრავდა და ნაცნობ გოგოებზე შაირებს ამბობდა.

ერთხელ რომ აღარ გაჩერდა, ვიღაცა რუსის ჯარისკაცმა წაუბრაგუნა, დედმამა შეაგინა და გაარუმა.

— მაგ ოხერს სულ თავპირი ჩამოსტირის, მაგას თავის მეფე ეძახის და მაინც თავპირი ჩამოსტირის...

რუსს გადავუთარგმნე ვანოს აზრი და შემომიბღვირა.

— მე არც მეფე მყავს და არც ომი მინდა. მიწაც ბევრი გვაქვს და ტყეც,

ბოლოს გადმოგვახეს. სამ-სამი დღის „სუხარი“ მოგვცეს, ვითომდა ყოველ შემთხვევისათვისაო. და ეს აუარებელი ჯარი გაგვრეკეს.

ფეხით ორი დღე ვიარეთ. თურმე ნუ იტყვი, ავსტრიის ფრონტზე მივურეკივართ. ეს ის დროა, როცა ავსტრიელებმა სულ უკან-უკან იხიეს... შემდეგ შემოუტიეს—ჩვენ არაფერი ვიცით.

გზადაგზა რომ მივდიოდით, ვხედავთ, სოფლები აწიოკებულია. სახლები გადამწვარი, ბაღი, ნახნავი, ნათესი გათხრებული—გეგონება, ყველაფერს ცეცხლი მოსდებია და გადატუსულაო.

იმ ღამეს ერთს ნასოფლარში დავბანაკდით. მოაწყდა და მოაწყდა ჯარი. იძახიან:

— პერემიშლ! პერემიშლ! შემდეგ ბერლინ!

ვანო მოუსვენარი იყო... იმ ღამეს ეტრიალნა. აქეთ მოსულიყო, იქით მისულიყო და ერთი სარდაფი ამოეჩინა.

რა გინდა სული და გული, რომ იმ სარდაფში არ იყო! ბოთლებით ღვინო, „სარდინკები“, „ვიჩინა“ კართოფილი. კარგი ეახშამი გიახელით!



შხამიანი გაზების გაშვება

— რას ჰბოდავ, წავიდეთ, რუსულ ბორშით კუჭს გავიძღობო! რუსის ჯარს ვინ მოერევა, ორ თვეში გავიმარჯვებთ და ისევ შინ დავბრუნდებით.

ვანო ერთი თვის დანიშნული იყო. ვიფიქრე, ამას თუ თავი არ ენანება, მე მარტოხელა კაცი ვარ, ჯანაბას, საცა ვიქნები მეთქი!

თელავში გამოვცხადდით.

თელავიდან თბილისში გვიკრეს თავი. შემდეგ მივდიოდით და მივდიოდით! სად? არაფერი ვიცოდით!

ვეკითხები ვანოს:

— სად მივყევართ?

ვანო ხუმრობით მეუბნება:

— „ვირმგელს“ ბებიაჩემის ქოხი შეშურებია, წართმევას უპირებს და ქვეყანა შეჰყარეს, ხანეა უშველეთო!—სთქვა, გაიცინა და დაუმატა:

— ქაცო, ვერ ხედავ ვაგონში როგორ დასაკლავ ძროხებივით ჩაგვყარეს,

მხოლოდ ბურჟუების ხელშია. ჩვენ, გლეხებს, სხვასთან საომარი არაფერი გვაქვს... ფრონტზე ვინ გამოვა? ჩემნაირი გლეხი! ჩვენ რა გვაქვს გასაყოფი? არაფერი! მაშ რისთვის ვიბრძვით? ძაღლებისთვის და მმმ... ისინი გვაომებენ, ვისაც ქარხნები აქვთ და ვისაც ათასობით დესეტინა მიწა... ჩვენ კი ამ ქარხნების და მიწის პატრონების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, აქ—ჩვენ, იქ—იმათ!

ეხლა ვხვდები თუ, ის რუსი მაშინ რასაც მელაპარაკებოდა! იარა ამ საქმემ და ოქტომბერი მოგვიყვანა!

მატარებელით კიდევ ერთი კვირა ვიარეთ—მეგონა, წინ და უკან დავყავდით. ისე გაგრძელდა.

ვანო ხუმრობდა:

— რას დამასეირნებენ, არ იციან, შინ დანიშნული მელოდება?



ამერიკელების ტანკი

ზოგი რუსი ღვინოს დაეხარბა და თავდაყირა კოტრიალობდა.

ამბობდნენ: დღეს ვიქნებით, ხვალ ვინ იცისო!

შუაღამისას „ნაბატი“ მისცეს. წამოვიშალენით. კიდევ მივდივართ.

ერთ მდინარეს გადავედით და, ვხედავთ, იქ თხრილებია!

ჩვენმა პოლკებმა იქ მყოფი პოლკები გამოცვალეს.

— აი, კაცს რომ ბედი არ ექნება,— ამბობს ვანო—ქოხში ვცხოვრობდი და აქ მიწურ სახლში შემოჰავდესო!

ვანომ ჩუმად პატარა ცეცხლი დაანთო, ტანისამოსი გაიხადა და დაიბერტყა. გეგონებოდა, შორს ტყვიის მფრქვეველი კაკანებდა, მკბენარებს ისე გაჰქონდათ ცეცხლზე ტკაცა-ტკუცი.

დილამ რომ მოატანა, ცოტა წინ გადავიხედე; ვხედავ, თოვლიან ველზე შა-

ვიდ კუნძებივით რაღაც ყრია. ცოტა რომ კიდევ გათენდა, მე და ვანომ ვერ მოვისვენეთ, ამოვყავით თავი და რას ვხედავთ? იქვე ახლოს ყრია აუარებელი გვამები. ჩვენებიც, იძათიც!

ვანოს მხიარული სახე მოელრუბლა.

— ეე! ეს სად მოვსულვართთ! ეგ ოხრები, ერთმანეთს რად ხოცავენ? რატო შაერში არ ისვრიან? ჩემძა მხემ, ჩიტს არ გავაცდენ, მაგრამ, ნახე, ლრუბლებს რა დღე დავაყენო!

ხეირიანად არც კი დაგვასვენეს, იყო ბრძანება და იერიშზე გადავედით. ერთი ვერსი ისე გავიარეთ, რომ სულ გვამებზე გადავდიოდით. ვანოს ხომ ადამიანის სახე აღარ ჰქონდა. თითქოს დაპატარავებულიყო, სახე მოღრეცოდა.

ვხედავ, იქ დაჭრილი გდია და ღმუის, აქ ცოცხალ-მკვდარი ცდილობს წამოდგეს, მაგრამ ჩვენი ჯარი ფეხით სთელავს...

ჩავისაფრებთ და ვისვრით. საით ვისვრით? რას ვესვრით? რამდენ მანძილზე ვიღებთ ნიშანს? პირადად მე არაფერი გამეგება.

მე ჯილდო მქონდა მიღებული კარგი სროლის გამო, მაგრამ აქ დავთრები დამებნა.

ძინდა ვანოს დაველაპარაკო და ენა ვერ დავსძარ. აზრი კი მაქვს, მაგრამ ენა არ მემორჩილება. თითქოს ლაპარაკი დამავიწყდა.

ვაჟკაცად ცნობილი ბიჭი ვიყავ, მაგრამ ისე გავხევდი, ისე შევიკარ, რომ ჩემს თავს საცოდავ ადამიანადაც ვეღარ ვგრძნობდი. აი, ეს თმა მაშინ გამითეთრდა.

ჩვენ წინ შხუილით ყუმბარა დაეცა, სულ ახლოს. საცაა გასქდება და მშვიდობით! მხოლოდ ვანომ მოისაზრა. გადახტა. ყუმბარას ამოჰკრა ფეხი და შორს მანძილზე გადააგორა. იქ იმ ყუმბარამ ნაგომარის ოდენა მიწა ამოთხარა.

რამდენიმე საათით ყველაფერი მიწყნარდა.

მე და ვანოს ხომ გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ აქ უფრო შეგვიყვარდა. არა თუ ერთმანეთი, აქ ყველა ძმა და მეგობარი გახდა.

— ვანო! ხომ გითხარ, გავიქცეთ დეზერტირათ მეთქი!?

— ეხ, ეგ არ მოუხდებოდა! სირცხვილი იქნებოდა!

— აბა, კაცო, აქ ვისთვის? რისთვის? შენი არ იყოს, მიზეზი მაინც ვიცოდე? ამდენი ჩვენს მინდორში კალიაობის დროს კალიაც არ გაგვიჟლეტია.

ამ დროს ჩვენკენ ის რუსი მოდიოდა, რომელმაც გზაში ვანოს შეუტია. იმას ჩვენ, ქართველები ძალიან ვუყვარდით. მოდიოდა ჩვენკენ. ვინ იცის, რა სათქმელისთვის მოდიოდა. ვინ იცის, რა უნდა ეთქვა. არც ხმაურობა იყო, არც სროლა. ეს კაცი გვერდ-გვერდ წაბარბაცდა. საიდანღაც, ვიღაცის გამოსროლილი ტყვია გულში მოხვედროდა.

ერთ დღეს მეც ფეხში დავიჭერ და ჩემს ბედზე სანიტარები მალე მომეშველნენ...

ცეცხლა-პირას შემოკრებილი ხალხი სულგანაბული უსმენდა. სიჩუმის შემდეგ ერთხმად შეეკითხნენ?

— ვანო? ვანო? ვანო რა იქნა?

— სანამ დავიჭრებოდი, მე და ვანო დასაზვერად გაგვგზავნეს. ერთ მდინარის პირას მივედით. წყალი დავლიეთ. ვანო იგონებდა თავის დანიშნულს, შინ დატოვებულ ძმას, მოხუც დედას და ამბობდა:

— რა იციან, ჩვენ რა დღეში ვართ! ან კი ცოცხლები გადავრჩებით? ოხ, თუ გადავრჩი და ჩემს ქოხს დავუბრუნდი, დედას ვუტირებ, ვინც ჩვენ აქ გამოგვგზავნა! ბობოლას შვილები შინ დარჩნენ ქრთამით და ჯანდაბით და ჩვენ კი... კაცო, ერთი გაიგებინე, მართლაც რისთვის ვიბრძვი? ვის ვეჩხუბები? რა მინდა? რა უნდათ? ახ, ნეტა ერთი კიდევ ვნახავდე იმ ჩვენს ალაზანს... ისიც ხომ ასეთი მდინარეა, მაგრამ უფრო წყნარი... მდინარე ამათაც ჰქონიათ, ჩვენც გვქონია, მაშ ვილას აკლია, რომ ჩვენ გვაჩხუბებენ?..



ომის მიწყნარების შემდეგ ბრძოლის ველზე დახოცილი ჯარისკაცები

ისმის რაღაც ქუხილი—მძიმე ზარბაზნებს მთების გადაღმიდან ჩვენ გვიშენერ...

გასქდა ყუმბარა აქ! იქ! წინ! გვერდზე! შუაში! მოდის და მოდის სეტყვასავით!

ვხედავ, ჩვენ წინ დაეარდება ყუმბარა, ამოითხრება დიდი კალოს-ოდენა მიწა, ავარდება ბოლი და რამდენიმე წუთის შემდეგ ახლოძახლო აღარაფერია. ჩემ წინ, ფეხთან კაცის მოწყვეტილი ხელი და თავი დაეცა. ახლოს ფეთვებელი იდგა, მე მიცქეროდა, ვხედავ ეს კაცი მძიმემძიმედ, როგორც მოჭრილი ტოტი, უხმოდ პირქვე დაეცა. თან ზურგიდან მაშველი ჯარი გვემატება, მაგრამ ისე წვება, როგორც ცელით ნედლი ბალახი.

ეს სთქვა და გულზე ხელი იტაცა.

გადამეხვია. ჩემს მკლავზე მოკვდა! მევე დავმარხე მდინარესთან! დღესაც დედას ჰგონია, შვილი ტყვედ ჰყავს და დღეს-ხვალე დაუბრუნდება!

# „თეთრი მხედარი“

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათის თემა ანტიმილიტარისტული და ანტირელიგიოზურია. 1914 წელს როდესაც მთელი ქვეყნიერება შეინძრა იმპერიალისტური ცეცხლისაგან, მრავალი მშრომელი, ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეული, გაგზავნილი იყო ფრონტზე მილიტარისტების და მათი დამქაშების, ბურჟუების და ეკლესიის ზრახვათა დასაკმაყოფილებლად. სურათში გამოყვანილია ერთი ასეთი ჯარისკაცი გიორგი, რომელიც სტოვებს თავის ახალგაზრდა ცოლს ნატას და საერთო მილიტარისტული პსიქოზით გატაცებული მხიარულად მიდის ფრონტზე. მაგრამ ომი, მისი საშინელებანი, ბურჟუაზიის და ეკლესიის ნამდვილი სახის დანახვამ გააცრუა გიორგი. მან დაჰგმო ომი, დასწყევლა ბურჟუაზია და ეკლესია, რომელნიც ხელს უწყობდნენ ხალხთა ჟლეტას. ამ მხრივ სურათი ინდივიდუალურ დრამის ჩვენების საშუალებით მიაღწევს ანტიმილიტარისტულ და ანტირელიგიოზურ აგიტაციონურ ძალას.

ეს სურათი გადაღებულია საქ. სახკინმრეწვის მიერ საერთაშორისო ანტიმილიტარისტული წითელ დღისათვის, 1 აგვისტოსთვის. სცენარი დამუშავებულია ლ. გოლდენვეიზერის და ე. ძიგანის მიერ. დადგმა ე. ძიგანის. ოპერატორი ს. ზაბოზლაევი. მთავარ როლებში: რაისა ესიპოვა, ა. სკლადოვი და ა. გუგუშვილი.

სურათი გადაღებულია სახკინმრეწვის ატელიეში და ნატურის სცენები კახეთის რკინის გზის გასწვრივ. ომის და ბრძოლების სცენები ატელიეშია გადაღებული. ოპერატორულის მხრივ სურათი დიდ სიმაღლეზე სდგას. მხატვარ ფედორის გაფორმება მეტად საინტერესო და ორიგინალურია.

# ჩინეთ-აღმოს. რკინის გზის მტაცებლურად ხელში ჩაგდება








ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზა მიდის მანჯურია-პოგრანიჩნა-ხარბინ-ჩუნჩანზე, სიგრძით 1,722 კმ. 1928 წელს გადაყვანილ იქნა 5,036,000 მგზავრი, მაშინ როდესაც საბჭოთა-ჩინეთის მართველობის ხელში გადასვლამდე გადაჰყავდა მხოლოდ 2,320,000. 1928 წელს საქონელი გადაუტანია 5.449,000 ტონა. 1928 წლის დამდეგს ორთქლის ქვაბი იყო 513, სამგზავრო ვაგონი—265, ხოლო საბარგო—10,000. რკინის გზას 1926 წ. საბრუნავ 29 მილიონ თანხიდან მოგება დარჩა 19,700,000 მანეთი ოქროთი, ხოლო 1927 წ.—15 მილიონი მანეთი. ბოლო დროს გზაზე მუშაობდა 25,000 მუშა-მოსამსახური, აქედან 11.0% საბჭოთა მოქალაქე იყო, 40,000 ოჯახის წევრით.

თუ რა შედეგებს მიაღწია, როცა ხელმძღვანელობდა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზას საბჭოთა გამგე, უკეთესია მოვუსმინოთ თვით ჩინელებს. მუკდენის რკინის გზათა მიმოსვლის კომიტეტის წარმომადგენელმა ტ. გ. ხუმ, ერთი თვის წინად, სანამ გზას ხელში ჩაგდებდნენ, პრესაში განაცხადა:

„მე შემხვედრია პასაჟირები, რომელთაც ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზით ევროპიდან აზიამდე პირდაპირ უმოგზაურიათ. ამ მგზავრებს განუცხადებიათ, რომ ჩ—ა—რკინის გზა ევროპიულ გზებზე ბევრად უკეთესად არის მოწყობილიო".

სურათზე მარცხით ჩ—ა—რკინის გზის სადგური ციციკარ, მარჯვენით ამ გზის გამგე ამხ. ა. ი. ემშანოვი. ქვემოდ, ხინგანის რკ. გზა

შორეულ აღმოსავლეთის ბანკის გამგეობა





ვ. ი. მერინ — მთ. ინსპექტორი

აგარიოვ — გამგ. წევრი



ა. ვ. ბორისკინ
შორ.-აღმ. ბანკის თავმჯდ.





ა. ი. პოგრებეცკი — ვალიუტის განყ. გამგე

დ. ე. სანდლერ — თავმჯდ. მოადგილე

# ვასილ ბარნოვი

ჩვენი დამსახურებული მწერალი ვასილ ბარნოვი, ანუ ბარნაველი ქვემოქართლელია, დაიბადა ს. კოდაში (თბილ. მაზრა) 1857 წ. მაისში. მამა მისი ზაქარია მღვდელი იყო, რომელსაც მეტ წილად ხევსურთა სოფლებში უხდებოდა მღვდელმსახურება. პატარა ვასილის სწავლაზე ზრუნავდა დედა მისი მაია. ძველი თქმულებანი, სამღვდელო ამბები, ყარამანიანი, „ვეფხის ტყაოსანი" პირველად სულ მისგან მოისმინა. გარდა ამისა, ბარნოვი ხევსურ ბავშვებშიც იწრთნობოდა, მათგან შეისწავლა ბევრი რამ, რაც ბარნოვში დღეს წარმართულ ელემენტად ითვლება, სულ ხევსურეთში აქვს შეძენილი.

8 წლისა იქნებოდა ვასილი, როცა მიაბარეს თბილ. სასულიერო სასწავლებელში. სწავლა აქ ჟანდარმული იყო. საგნებს გადიოდენ რუსულად. მასწავლებლები ყოველად გათახსირებული იყვნენ, ბავშვებს ასწავლიდენ ჯაშუშობას, ხრწნიდენ. რუსული ენის სწავლება იყო საოცარი უშინაარსო ეგრედ წოდებული „ბუკვარის" საშუალებით. ანბანი ასე ისწავლებოდა: ა-ა-ა=ა; ბრა-ბრი-ბრუ=ბ; გრა-გრი-გრუ=გ; დრა-დრი-დრუ=დ. ადვილად წარმოსადგენია ჩვენი ბავშვისთვის რა ძნელი უნდა ყოფილიყო ასეთი მეთოდით სწავლა. მასთან ფიზიკური დასჯა, ყოველ შეცდომაზე ეგრედ წოდებული „ლინეიკის" დარტყმა. განა საკვირველი იქნებოდა, თუ ვასოსაც, როგორც ბევრს ამხანაგებს, ფიქრად მოუვიდა გაქცევა სოფელში. ბევრნი დაიღუპენ ასეთ „აღმზრდელთა" შორის და თუ ვასომ გასძლო, მხოლოდ იმიტომ, რომ სასწავლებელში ზედამხედველად მოიწვიეს იაკ. გოგებაშვილი, რომელმაც შემოსვლისთანავე აღკრძალა ბავშვების ცემა და უთავბოლო დატუქსვა.

სასულიეროს შემდეგ ვასილი გადადის თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1877 წ. დაამთავრა კურსი საუკეთესო მოწაფედ და ერთი წლის შემდეგ გაგზავნილ იქნა სასულიერო აკადემიაში.



ვასილ ბარნოვი
სამწერლო ასპარეზზე 50 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო.

აკადემიაში ბევრად თავისუფლად ჰგრძნობდა ვასილი თავს. იგი უმადლის რუსეთის შესანიშნავ მკვლევარ-ისტორიკოსს კლიუჩევსკის.

1882 წ. ვასილმა დაამთავრა აკადემია. დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა მოღვაწეობას საპედაგოგიო ასპარეზზე.

1918 წ. მიწვეულ იქნა თბილისის სახალხო უნივერსიტეტში ლექტორად (დღევანდელი მუშფაკი).

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1879 წ. პირველად დაიბეჭდა მისი „პირველი სკრიპკა" გაზეთ „დროებაში". მანამდე ვასილმა სცადა თავისი ძალღონე ლექსების წერაში, მაგრამ კალამი პროზაში გაჰმართა და მას აქეთია მთელი სერია მოთხრობებისა დაჰბეჭდა თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემებში.

მის მოთხრობათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს: „მიმქრალი შარავანდედი", „ისნის ციხკარი", „ბაზართა სარძლო", „დედოფლის სარტყელი" და მრავალი სხვა. „ქართული წიგნი"-ს გამომცემლობამ გამოუშვა მისი ნაწარმოებთა კრებული „თბილისის აჩრდილები", სადაც ჩვენი ბელეტრისტის საუკეთესო მოთხრობებია მოთავსებული („ფარჩის ახალუხი", „გველის ხეიში", „ტკბილი დუდუკი" და სხვა).

დაბეჭდას ელის უამრავი რომანები, მეტწილად ისტორიული სახისა, როგორიცაა „დავით აღმაშენებელი", „თეთრი გვირგვინი, „თამარ მცირე" და სხვა.

ბარნოვს წელს შეუსრულდა 50 წელი, რაც იღწვის სამწერლო ასპარეზზე, თუმცაა როგორც ვთქვით, თუ მისი ლექსები, ეთნოგრაფიული წერილები და თარგმნები მივიღეთ მხედველობაში, მაშინ მის მოღვაწეობას დაემატება კიდევ შვიდი წელი.

ამჟამად ჩვენი დამსახურებული ბელეტრისტი თავს ჯერ კიდევ კარგად ჰგრძნობს და განაგრძობს ახალ რომანების წერას და დამუშავებას.

## სახალხო მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელნი



ნახ. მ. თოიძის.

მიხეილ კავსაძე
აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახურ) სახალხო მომღერალთა გუნდის ლოტბარი.



ნახ. მ. თოიძის.

მარო თარხნიშვილი
ძველ ქართულ ხალხურ მოტივების მომღერალი საკუთარ გუნდის ხელმძღვანელი.



ნახ. მ. თოიძის.

ალექსანდრე მახარაძე
თბილისის რკინისგზის მტვირთავი გურული გუნდის ხელმძღვანელი.

# სტუდენტები ბანაკად

სტუდენტების გასვლა ბანაკად... ეს პირველი შემთხვევაა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში.

მთელი ზამთრის განმავლობაში სტუდენტები თეორიულად ეცნობოდნენ სამხედრო საქმის საფუძვლებს. უნივერსიტეტის აუდიტორიებში სტუდენტები იძენდნენ ცოდნას ტაქტიკიდან, ტოპოგრაფიიდან, ითვისებდნენ წესდებებს და სხვა.



სტუდენტების კარავები,

დასვენების დროს სტუდენტები კითხულობენ გაზეთებს

მაგრამ, საჭიროა სამხედრო საქმის საფუძვლიანად შესწავლა, საჭიროა თეორიულად შეძენილი ცოდნის განხორციელება საქმეზე.

აი, ამ მიზნით, წრეულს პოლიტეხნიკუმის 170 სტუდენტი გაწვეულ იქნა გორის ბანაკში.

№ ქართ. დივიზიის ბანაკის გვერდით, მარჯვენა ფრთაზე, დადგმულია ათიოდე კარავი სტუდენტებისათვის.

170 სტუდენტი გამოწყობილია წითელარმიელთა ტანსაცმელში, ისე რომ მათ და არმიელთა შორის არ არის არავითარი განსხვავება.

დილით, გაისმის თუ არა საყვირის ხმა, სტუდენტები სტოვებენ კარავებს და გადიან მინდვრათ სამეცადინოთ.

დილის საუზმის და ვარჯიშის შემდეგ იწყება რეგულიარული მეცადინეობა.

სტუდენტებმა უკვე დაიწყეს სასროლო საქმის შესწავლა. პირველ დღეებში ტყვიას ვერ არტყამდნენ მიზანში, მაგრამ, ნელ-ნელა შეეჩვიენ დამიზნებას და ეხლა კარგათ გავარჯიშდნენ სროლაში.

სტუდენტებმა საუკეთესოდ შეითვისეს საშწყობრო საქმე, სამხედრო დისციპლინა და წესდებები. ამ მხრივ ისინი არ ჩამოუვარდებიან საკადრო ნაწილების წითელ არმიელებს, ზოგ შემთხვევაში კიდეც სჯობნიან მათ.

დილიდან მოყოლებული სადილობამდე სტუდენტები მეცადინეობენ ველად და ითვისებენ სამხედრო საქმეს პრაქტიკაზე.

სადილობის შემდეგ ბანაკად იწყება სკოლის გარეშე მუშაობა, რომელშიაც სტუდენტები იღებენ მხურვალე მონაწილეობას. ისინი ხელმძღვანელობენ სხვადასხვა წრეებში ასწავლიან წითელარმიელებს წერა-კითხვას, უკითხავენ მათ **წიგნებს და გაზეთებს. ასეთი სახის მუშაობა** აახლოვებს სტუდენტებს და არმიელებს, აკავშირებს მათ.

როდესაც მზე უახლოვდება სურამის ქედს და უკან სკნელი სხივებით უწყებს ალერსს თეთრ კარავებს, არმიელები ჯგუფ-ჯგუფად იყრიან თავს კვერნაკის მთის ფერდობებზე. სასიამოვნოა დასვენება დღიური ჯაფის შემდეგ და სახის მიშვერა გრილი ნიავისათვის, რომელიც ტკბილად ეალერსება მზეზე დამწვარს შუბლს და ლოყებს.

არმიელთა შორის ხშირად შეხვდებით სტუდენტებს, რომლებიც ესაუბრებიან მათ სხვადასხვა საკითხებზე, უხსნიან ბუნების ამა თუ იმ მოვლენას, აძლევენ რჩევა-დარიგებას.

— „კარგია სწავლა—ამბობენ წითელი არმიელები—უსწავლელი კაცი არაფრად ვარგა ამ ქვეყნათ“.

სტუდენტებთან დაახლოებამ ბევრ წითელარმიელს აღუძრა სწავლის სურვილი და სავალდებულო სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ, ბევრი არმიელი მიაშურებს მუშფაკებს და უნივერსიტეტს.

სტუდენტებს ბანაკად აქვთ მოწყობილი საკუთარი ლენინის კარავი.

ეს კარავი ჯერ-ჯერობით ღარიბათ არის მოწყობილი, ცოტაა შიგ სურათები და საერთოდ არ არის მორთული რიგიანად. მხოლოდ კარავში მრავლად არის ჟურნალ-გაზეთები. თავისუფალ დროს სტუდენტები აქ იყრიან თავს და კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, მართავენ საუბრებს მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე.

სტუდენტებს ბანაკად ჩამოყალიბებული აქვთ სხვადასხვა წრეები. კარგათ მუშაობს „ფიზკულტურელთა წრე. ნახევრად ტიტველნი, მზეზე დამწვარნი სტუდენტები, ხალისიანად ასრულებენ სხვადასხვა სახის ვარჯიშს.

ბანაკად ცხოვრება გააკაჟებს ჩვენი უმაღლესის კოლების მსმენელებს. სამხედრო ცოდნასთან ერთად სტუდენტები შეიძენენ ბევრ ისეთ ცოდნას, რომელიც აუცილებელი და საჭიროა უმაღლესი სწავლით აღჭურვილი საბჭოთა მოქალაქისათვის.

ე. ბ.



სტუდენტ-ფიზკულტურელთა წრე

## განახლდი, ჩემო სოფელო!

განახლდი, ჩემო სოფელო,
მორთულო წითელ ფერებით;
მიყვარს მკერდდაუშრობელი
შენი ყანა და სერები.

სიმღერით გული ხალისობს,
გულთან სიამე მოეიდა;
მიწა ბარაქით აივსო,
მკლავი ჯანით და ღონითა.

გასაბჭოებულ მთაგორებს
ქალაქის სიტყვა ედება,
სოფლისკენ მზეებს აგორებს
ელექტრო ჩქერის სვეტებად!

საიდან ისმის გუგუნი,
ეს რა ხმებია ულევი?
არხებში ცელქი დუდუნით
რბიან მთის ნაკადულები.

ტრაქტორი ბარში ხმიანობს,
ბელტზე წვებიან ბელტები;
მიწა თუ ბარაქიანობს
სოფელს რა გაუძნელდება.

ბიბინებს მწვანე ყანები
ყაყაჩოებით, გვირილით;
გაისმის აღფრთოვანებით
შრომის სიმღერა გმირული.

განახლდი, ჩემო სოფელო!
მორთულო წითელ ფერებით
მიყვარს მკერდდაუშრობელი
შენი ყანა და სერები...

**არნო ონელი.**

1929 წ.

# განახლებული გორი

## ე. ხუციშვილი

გორი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არსებობდა მშვიდათ. წყნარად მიმდინარეობდა ცხოვრება ამ პატარა ქალაქში, ქართლის გულში.



ლენინის ქუჩა

რას წარმოიდგენდნენ გორელები, თუ მთელი ქალაქი და მისი მაზრა განადგურდებოდა ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე.

ეს იყო 1920 წლის 20 თებერვალს, გათენების ჟამს.

ტკბილად ეძინათ გორელებს, როდესაც შეირყა მიწა და დაანგრია ქალაქი.

მიწისძვრის დროს გორში სავსებით დაინგრა—აგურის სახლი—233, ქვის სახლი—233 და ხის სახლი 21. მნიშვნელოვნად დაზიანდა—აგურის სახლი—140, ქვის სახლი— 22 და ხის სახლი—92.

გორსა და მის მაზრაში მიწისძვრის დროს დაიღუპა 114 კაცი დაშავდა—38 კაცი.

ერთ წამში აღიგავა პირისგან ქვეყნისა ქალაქი გორი, რომელზედაც ძველი გეოგრაფი ვახუშტი სწერს შემდეგს: „...არის ადგილი ჰავითა შვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი. ზაფხულ კეთილი. ზამთარს ცივი, ქარიანი. სანადირო მოუკლებელი ფრინველითა, თევზითა და სხვითაც. ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი. მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, შვენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი".



გორის საავადმყოფო და პოლიკლინიკა.



საკონსერვო ქარხანის მთავარი შენობა, ქარხნის აგება დამთავრდება შემოდგომისათვის.

***

დაუნდობელმა სტიქიამ არ დაზოგა გორის ციხე—ისტორიის ეს უდიდესი ძეგლი, რომელსაც თავისი ბუმბერაზობით და სიდიადით განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველნი.

აგებული მეშვიდე საუკუნეში, იგი შეურყევლად იდგა 1200 წლის განმავლობაში. მას ვერაფერი ვერ დააკლეს ვერც ხარბაზნებმა, ვერც ბუნების მოვლენებმა. მიწისძვრის დროს გადმოინგრა დუღაბით შედუღებული მტკიცე კედლები, ციხის კალთებიდან მოხვავდნენ კლდეები, რომლებმაც მიანგრ-მოანგრიეს ე. წ. „ციხის უბანი".

გადმოინგრა უძველესი ციხის ეკლესია, რომლის კედლები დაფარული იყო იშვიათი მხატვრობით.

***

ქ. გორის აღდგენა მიმდინარეობს მტკიცე ნაბიჯით.

საბჭ. ხელისუფლება 1921 წლიდან შეუდგა გორის განახლებას და არ ზოგავს ძალღონეს, მატერიალურ საშუალებებს, რომ განაახლოს გორი და მისი მიდამოები.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ჯერედ აქაიქ ისევ მოსჩანან ნანგრევები, რომლებიც გულის შესაზარავად გამოიყურებიან და თვალებზე ცრემლს გვრიან გორელებს.

მაგრამ, ამასთანავე, ძალიან ბევრია გაკეთებული.

გაზვალ ხიდს, რომელიც აერთებს სადგურის ნაწილს ქალაქთან და დაინახავ ლამაზ ლენინის ქუჩას, რომელიც წარმოადგენს ხეივანს. ეს არის მთავარი ქუჩა, განახლებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მიწისძვრის პირველ დღეებში იგი სავსე იყო ნანგრევებით. საბჭოთა მთავრობამ გასწმინდა ეს ქუჩა, დარგო ორთავე მხარეს ხეები, მოკირწყლა ქვით.

ამ ქუჩაზე მდებარეობს გორის სამაზრო აღმასკომი, პარტკომი, კომუნალური ბანკის განყოფილების ახალი შენობა, საავადმყოფო, ვენერიული და სამალარიო დისპანსერი, პოლიკლინიკა და სხვა. ყველა ესენი მოთავსებულია ახალ შენობებში, რომლებიც აგებულია გორის მშრომელების უშუალო მონაწილეობით.

თანდათანობით ეწყობა სხვა ქუჩებიც. აქაიქ უკვე მოსჩანან ახალ-ახალი შენობები.

გორის აღმშენებლობა მტკიცედ მიდის წინ.

გორი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ეღირსა წყალსადენს, აბანოს და მტკიცე საძირკველიან ელექტრო სადგურს.

ქალაქის აღმასკომი მხოლოდ ქალაქის კეთილმოწყობაზე თავისი პატარა ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ხარჯავს 40.000 მანეთამდე. მიმდინარე წელს ამ მიზნით დაიხარჯება 27.802 მანეთი.

იზრდება გორში სასწავლებლების რიცხვიც ამჟამად არსებობს შემდეგი სასწავლებლები: პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები, პედაგოგიური ტეხნიკუმის სანიმუშო სკოლა, 1 ათწლედი, 4 შვიდწლედნი, რუსების 4 წლედი, რკინის გზის, საფეიქრო და ჭრა-კერვის სკოლა: ამდენი სასწავლებლების მოწმე გორი ჯერ არა ყოფილა.

***

ფართედ არის გაშლილი კულტურული დაწესებულებების ქსელი.

ლენინის ქუჩაზე, ერთ ერთი შენობა დათმობილი აქვს მუშათა კლუბს, რომელშიაც მოთავსებულია თეატრიც.

რკინისგზელებს აქვთ თავისი საზამთრო და საზაფხულო თეატრი.

ყოველდღე მუშაობს კინო თეატრიც.

გორმა ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო საკუთარი სათეატრო შენობის აგება, ამ მხრივ მას გაუსწრო ბევრმა მასზე ღარიბმა სამაზრო ქალაქმა.

გორს აქვს სამკითხველოც, ჯერ-ჯერობით ღარიბი. ამ მხრითაც გორი ჩამორჩა სხვა თავის ტოლ ქალაქებს.



გორის ხე-ტყის საზერხი ქარხანა.

***

უწინ გორი განთქმული იყო თავისი მშვიდი, მყუდრო ცხოვრებით. მაშინ გორი აგარაკათ ითვლებოდა. ადამიანს შეეძლო აქ დაესვენა, დარწმუნებული, რომ მას არ შეაწუხებდა ქარხნის საყვირების ხმაური. სადგურიდან ძლივს აღწევდა ქალაქამდე მატარებლის ყვირილი.

ეხლა სურათი შეიცვალა.

გორში მუშაობს საკონსერვო ქარხანა. ეს ქარხანა ჯერ მოთავსებულია პატარა ძველ შენობაში.

ეს დიდი მოვლენაა გორის ცხოვრებაში.

***

როდესაც ვლაპარაკობთ განახლებ[ულ] გო[რ]ზე, არ შეიძლება გავუშვათ მხედველობიდან წითელი ჯარის მნიშვნელობა გორის განახლებ[ი]ს საქმეში.

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც გორში დაბანაკდა ქართული ტერიტორიალური ლეგიონი.

გორი ზაფხულობით წარმოადგენს წითელი ჯარის საზაფხულო ბანაკს, სადაც თავს იყრიან

***

გორს აქვს ერთი დიდი ნაკლ[ი] ... არის რკ[ი]ნის გზის სადგურის შენობის უვარგისობას.

გორი სწრაფად იზრდება, ყოველდღიურად ემატება ახალი შენობა და შენობებთან ერთად მცხოვრებლებით. მაგრამ, სადგურის აგებაზე თითქოს არ ფიქრობენ. სდგას ობლად სადგურის ერთი ნახევარი, რომელიც, აი უკვე 8 წელიწადია, რაც ამაოთ ელოდება მეორე ნახევარს.



N ქართ. მსრ. დივიზიის ბანაკი გორში. უკან მოსჩ[ა]ნს ქ. გორი და გორის ციხე.

ერთ-ერთ ქუჩაზე უკვე შენდება დიდი შენობა ქარხნისათვის. შორიდანვე მოსჩანან ხარაჩოები და ქარხნის მაღალი კედლები. ეს ქარხანა ამუშავდება შემოდგომაზე, მანქანის ნაწილები უკვე დამზადებულია.

გორის საკონსერვო ქარხანამ უნდა დაიკავოს უპირველესი ადგილი ამიერ-კავკასიაში. მას აქვს ამის შესაძლებლობა.

სადგურის მხარეს მუშაობს ხის სახერხი ქარხანა. ეს ქარხანა ფართოვდება თანდათანობით. იგი სწევდის საამშენებლო მასალას გორს და ახლო სოფლებს.

ამუშავებულია აგურის და ტყავეულობის ქარხნები.

ამ რიგად გორს უკვე აქვს 4 ქარხანა.

დარღვეულია გორის მშვიდი ცხოვრება.

გორში უკვე ჩაისახა მუშათა კლასი, პროლეტარიატი.

N ქართულ დივიზიის ყ[ვე]ლა ნაწილები აქვე შემოდგომით ტარდება ტერიტორიალური დივიზიის საერთო შეკრებები, რო ელხედავ ცხადდებოდა რამოდენიმე ათასი ცვალება[დ]ი წითელი არმიელი და მეთაური.

წითელმა ჯარმა დიდათ შეუწყო ხელი გორის აღდგენის საქმეს.

წამოიჭიმა ყაზარმების ახალი შენობები.

ბან[ა]კის მიდამო დაფარულია მრავალი ახალი შენობებით, საწყობებით, საცხოვრებელი ბინებით.

ამის გარდა წითელი არმიის ნაწილებს შეაქვთ გორში ახალი ცხოვრება: კულტურა; ტერიტორიალური ნაწილი აძლევს გორს და მის მაზრას ახალ მუშაკებს, წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდობას.

წითელი ჯარის გავლენა გორზე ძლიერ დიდია და მნიშვნელოვანი.

ახლახად არის გადაქცეული გორის სადგური მთელ მაზრაში და მგონი მაზრის გარეშეც: „ეს სახლი ის[ე] შენდება, როგორც გორის სადგური", ამბობენ ქართლელები იმ სახლზე, რომლის აშენებასაც ბოლო არ უჩანს.

***

ნახევრად დანგრეულ გორის ციხეს ამშვენებს დიდ[ი], წითელი ხუთქიმა ვარსკვლავი, რომელიც ღამით საუკ[ე]თესოდ მოსჩანს მატარე[ბ]ლიდან.

ეს ვარსკვ[ლ]ავი, სიმბოლო ახალი ცხოვრების, ეუბნება ყველას, რომ [ს]აქართველოს მუშებს და გლეხებ[ი]ს შეუძლიანთ თავისი ძალით ალად ირონ სტიქიისაგან განადგურებული ქალაქი, უდაბნოთ ქცეული მიდამო.

ამის მოწმეა განახლებული გორი.



კასპის ცემენტის ქარხნის პროექტი რომლის აშენებას უკვე შეუდგნენ.

F 749

# საბჭოთა კურორტები

## გავაშენოთ ახალი კურორტი

ბ. შ—ია.

ქ. ზუგდიდის მახლობლათ, ოცდაათი კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს სოფ. ბია. სოფელი გაშლილია ჯორ-ჭითაგოლის კალთებზე, ჰაერი და წყალი აქ საუცხოვოა, ამას თან ერთვის გარსშემორტყმული ფოთლოვანი ტყე- იქვე მის ახლოს, სამი კილომეტრის მანძილზე, მას უვლის შავი ზღვის რკინის გზა. კარგა ხნის წინად აქ აღმოჩენილი ყოფილა ორი, მარჯვენა და მარცხენა ბიის, სამკურნალო წყარო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ეს წყაროები მოკლებული არიან პატრონობას და ვერ პოულობენ თავის დანიშნულებას.

ამას წინად აქ აწარმოვა გამოკვლევა ქიმიკოსმა კუპცისმა, რომლის დასკვნითაც, ეს



ადგილი, სადაც აგებულია აბაზანები და ქვაბი



ბიას აგარაკის ერთერთი დასასვენებელი კუთხე

წყაროები შეიცავენ 12 სხვადასხვაგვარ ქიმიურ ნივთიერებას. მათი რადიო-აქტიობა უდრის 1,3—2,33-ს, ტემპერატურა 13—14° ცელსიუსით.

ქიმიკოს კუპცისის დასკვნით, ეს წყაროები წარმოადგენენ ცივ გოგირდის წყაროებს, რომლებიც მეტად სასარგებლოა რევმატიზმისათვის.

ადგილობრივი საბჭოს და ბიის მცხოვრებთა თაოსნობით აქ ჯერ-ჯერობით გაკეთებულია მხოლოდ ექვსი აბაზანა, დადგმულია უბრალო ქვაბები, რომლებითაც წყალს ათბობენ. ყოველ ზაფხულობით ამ წყლებით სარგებლობენ, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი, საშუალოდ 1000 კაცამდე. მსურველები კი გაცილებით მეტია, მაგრამ წყლების მოუწყობლობა არ იძლევა ყველას დაკმაყოფილების საშუალებას.

სოფ. ბია მოქცეულია დაბლა სამეგრელოში, სადაც რევმატიზმით და მალარიით დაავადების შემთხვევები მასიურ ხასიათს ღებულობენ, მაგრამ თვით სოფ. ბია ამ შემთხვევაში წარმოადგენს გამონაკლისს. 100 საჟენის დაშორებით გაშლილია ვაკე ადგილი, სადაც შეიძლება მოეწყოს, ჯერ-ჯერობით, დროებითი კარვები.

## კურორტი არზნი

თ. მ—ლი.

სომხეთში, ერევნიდან 24 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთით, მდებარეობს კურორტი არზნი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კურორტს ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ 1828 წელს, ბალნეოლოგიური სადგურის გახსნა მოხერხდა მხოლოდ 1925 წ.

რითია შესანიშნავი ეს კურორტი? მისი ღირსება გამოიხატება შემდეგში: არზნში არსებობს სხვადასხვა სამკურნალო წყლები. ამათგან არზნი № 1 წარმოადგენს ნახშირმჟავა მარილიან წყალს. რომლის ერთი ლიტრი შეიცავს 4,9 მილიგრ. ბრომს, 1,25 მილიგრ. იოდს და 1,4 მილიგრ. ლიტიის. წყაროს ტემპერატურა უდრის 20°. მინანალოგიური წყარო, თავისი შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით, არის კისინგენის წყარო. მისი დებეტი დღეღამეში უდრის 144000 ლიტრს. არზნი № 2 იძლევა ძალიან გემრიელ და სასიამოვნო სუფრის წყალს, რომელიც ფართე გავრცელებას პოულობს მთელს ამიერ კავკასიაში.



ბორჯომში ახლად აღმოჩენილი სამკურნალო წყარო

არზნის ადგილმდებარეობა მეტის მეტად ლამაზია. იგი მდებარეობს მდინარე ზანის ხეობაში, რომლის კალაპოტი მიიმართება ბაზალტისა და ანდეზიტის დაქანებულ მთებს შორის. კურორტის ახლოს გაშენებულია მშვენიერი პარკი.

მთავარი, რაც აღსანიშნავია, ის არის, რომ მიუხედავად ამ რაიონის მალარიური თვისებებისა, არზნი ამ მხრივ წარმოადგენს გამონაკლისს და იქ სრულებით არ არის მალარიის დაავადების შემთხვევები.

ძველათ ახლო მახლო მცხოვრებლებს, როგორც ეტყობა, უწარმოებია მუშაობა წყაროების გამოსაყენებლად მეტად პრიმეტიული საშუალებით, რასაც მოწმობს სხვადა ხვა ქვის ნაგებობანი. მაგრამ პირველი ქიმიური ანალიზი მოახდინა ქიმიკოსმა გ. სტრუვემ, რომელმაც გამოარკვია არზნის სამკურნალო თვისებები. ეს გამოკვლევები უფრო სწორად დაამუშავა სომხეთის ჯანმრთელობის კომისარიატმა 1924 წ. ასე რომ კურორტი არზნი ხელმისაწვდომი გახდა სომხეთის მშრომელთათვის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

# ნ ა რ ე ვ ი

## ინგლისის ახალი მთავრობა და ინდოეთი

მაკდონალდს დიდი ძღვენი მოუვიდა ინდოეთიდან, სახელდობრ, მთელი სერია ინდიურ ენიდან ნათარგმნი წიგნებისა: „უბედური ინდოეთი"—ლაჯპარ რაესი, „პასუხი შვილისა დედა ინდოეთისადმი გაწერილი"—დჰან გოჰალისა „ჩვენი თანამედროვე ინდუსტანი" ქ. ნატარაჯინისა და მრავალი სხვა. ყველგან ჩივილი და დატირებაა ინდოეთის ბედშაობაზე, აშკარა ლაშქრობა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ინგლისის პრესა, რა თქმა უნდა, თავისებურად თავს მართლულობს, ვითომც ყველა ეს საზიზღარი ცილისწამებაა, ბოლშევიკების ჭორი და სხვა. „ჩვენი დედა ინდოეთის" ავტორი თავის შრომაში ამტკიცებს, რომ ინდოეთის უდიდეს ნაწილში დღესაც გამეფებულია უვიცობა, საშინელი ცრუმორწმუნეობა, უკულტურობა. ვისი ბრალია ეს? თვითონ ხელისუფლებისა, რა თქმა უნდა. ყოველ წელს ისმის ახალ-ახალი დაპირება, აღთქმანი რეფორმების მოსახდენად, მაგრამ აღთქმა აღთქმად რჩება შემდეგი მოსაზრებით: „რეფორმები ნაადრევია, მასსა ამისთვის არაა მომზადებული", რომ „საამისო ფული არა გვაქვს", რომ „უმრავლესობას თვითონვე არ ჰსურს სკოლები" და სხვა. ინგლისის მთავრობა ხელოვნურად ხელს უწყობს არსებული წესწყობილება ძალაში დარჩეს, ტომები ერთი მეორეს დაერიონ და ამ გლეჯა ფლეთის დროს მიივიწყონ ნამდვილი მტერის არსებობა, გარეშე—იმპერიალიზმის სისხლიანი ხელი და შინ კიდევ გაბატონებული კლასები. გარდა ამისა, ინდოელი ქალი ინგლისელთა გაბატონებამდე გაცილებით თავისუფალი იყო, ვიდრე დღეს. ინგლისმა ხელოვნურად გააბატონა ერთი სქესი მეორეზე და ხელი შეუწყო ოჯახში სიბნელის გამეფებას. ეკონომიური შევიწროება, პოლიტიკური შეზღუდვა და უუფლებობა მკვიდრი ხალხის და იმავე დროს ინგლისის ჯავშნიანი მუშტი შეუძლებელსა ჰყოფს ინდოეთის განვითარებას. „დუმილი დანაშაულია. ამბობს რაესი: 330 მილიონ ხალხის მონობას უნდა დაედოს საზღვარი. ამდენ მილიონ ხალხს უფლება აქვს იფიქროს თავის თავზე და მომავალზე. მაშ როდისღა შეუძლიათ იფიქრონ თავის უფლებებსა და მომავალზე, თუ არა დღეს, როდესაც ინგლისში კონსერვატორები დამარცხდნენ და მთავრობა მუშათა წარმომადგენლების მიერაა შედგენილი? დროა, ინგლისმა ხელი აიღოს იმპერიალიზმზე, საზიზღარი მეთოდებით ამდენ მილიონიან ხალხის დამონავება-დაბეჩავებაზე. ეს პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანითაა წამოყენებული და მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას დღევანდელი მთავრობისაგან".

ეს ასეა, მაგრამ მაკდონალდი შეისმენს ასეთ უდავო ჩივილს ინდოელებისაგან? ვფიქრობთ, რომ ინდოეთი იმასვე მიიღებს, რაც მიუღია კერზონებისა და ჩემბერლენების ხელით, ვიდრე მაკდონალდებისა და ჰენდერსონებისთანა გამყიდველი ხალხი მუშათა მოსატყუებლად ხელთ უჭირავთ სახელმწიფო მართვა-გამგებლობის სადავეები.

## ნიუიორკი

ოფიციალური ცნობების მიხედვით ნიუიორკში შვიდ მილიონამდე მცხოვრებია. ყოველ ოთხ წუთში იბადება ადამიანი, ყოველ მეოთხედ საათში ხდება ქორწილი, თვითეულ წუთში 196 კაცი ლაპარაკობს ტელეფონით. ქუჩებზე ჩვეულებრივ დღეს დაიარება 23,628 ეტლი, ქალაქის რკინის გზებს, როგორც ზემოდან, ისე ქვემოდ, გვირაბთა საშუალებით, დღე და ღამ მატარებლებით გადაჰყავთ ნახევარ მილიონი ხალხი. ნიუ-იორკში 252 თეატრია და 548 კინო, სადაც თავსდება 850 ათასი მაყურებელი. ნიუ-იორკში 1575 ექიმია, ე. ი. ჩვენებურ სამაზრო ქალაქების ოდენა მცხოვრებნი. ნიუ-იორკი ყოველწლიურად ნთქავს სამ მილიონ ნახევარ ტონა საჭმელს, დღეში სვამს მილიონ სამას ათას ჩარექა რძეს და სჭამს შვიდ მილიონ კვერცხს.

## მაკდონალდს ხუ-დო შეხვედრია

პირველი მზრუნველობა რამზეი მაკდონალდისა, როცა მთავრობას ჩაუდგა სათავეში, ის იყო, რომ ვაშინგტონში გამგზავრებულიყო პრეზიდენტ ჰუვერის სანახავად, რათა მოეწესრიგებინა „გადაუდებელი პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის" საკითხები. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის პრესაში. ამბობდენ, რომ ახალი პრემიერის შეხვედრა ამერიკის პრეზიდენტთან დიდ შედეგებს გამოიღებს, საძირკველი ჩაეყრება ახალ საუკუნეთა წელთა აღრიცხვასაო. ზოგი მთელ რიგ პროგრამას აქვეყნებდენ, თუ რა საქმიანი ლაპარაკი იქნებოდა ამ ორ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მესაჭეთა შორის. სამწუხაროდ რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთების ფურცლებზე პატარა სათაურმა „გადადებული მოგზაურობა", სულ ერთიანად შეცვალა მაკდონალდის მართლმორწმუნეთა იმედები. „პრემიერის" გადადებულ მოგზაურობის მთავარ მიზეზად ასახელებდენ თვით მაკდონალდის ავადმყოფობას, სურდო-ხველა შეეყარაო! სურდო ხველის ნამდვილი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დღემდე ჰუვერს მისთვის არავითარი მისაპატიჟებელი ბარათი არ გაუგზავნია, ასე რომ ინგლისის პრემიერმა ცოტა არ იყოს უხერხულობა იგრძნო ძალად მოხვეულ სტუმარ-მასპინძლობის შესახებ ამდენ განგაშის ატეხის გამო. როცა მაკდონალდს „სურდო-ხველამ გაუარა" და მაინც ლონდონიდან არ დაძრულა, ინგლისის პრესამ მოაბოდიშა იგი, პრემიერი დიდად დატვირთულია საპარლამენტო და გადაუდებელი საკითხებით და ამიტომ ძალაში რჩება „გადადებული მოგზაურობაო". იმავე დროს მოლაპარაკება არ შეწყვეტილა ლონდონსა და ვაშინგტონს შუა პირობების შესამუშავებლად, თუ რა ნიადაგზე შეიძლება ორი დიდი ადამიანის შეხვედრა. ჩვენთვის კი დიდი ხანია ცხადია „სურდო-ხველის" ნამდვილი მიზეზი. ეს გახლავთ ის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობანი, რომელიც ახასიათებს ორი ქვეყნის აღულაგმველ იმპერიალიზმის შადის სიმშაგეს, რომ ერთმანეთი გადაყლაპონ ზღვაზე თუ ხმელეთზე. ის გაფაციცებული გემთა მშენებლობა და ამდენ ჰაერის ფლოტისა და მომწამლველ გაზების დამზადება, რაიც სწარმოებს ამ ქვეყნებში, ცხადს ჰყოფს, რომ მშვიდობიანობაზე და ახალ საუკუნოების შექმნაზე ნაადრევია ლაპარაკი, ვიდრე პროლეტარიატი კომუნიზმის დროშის ქვეშ ამ ქვეყნებს არ განტვირთავს ყოვლად გათახსირებულ სოციალ-გამყიდველებიდან და საკუთარ ხელით ჩაქოჩს არ ჩასცხებს მათს იმპერიალისტულ ზრახვებს.

## საბჭოთა საქართველო და ბარბიუსი

პარიზის ერთ-ერთ კლუბში ამ ახლო მომავალში დიდი კამათი გაიმართა ჰანრი ბარბიუსის წიგნის გამო „აი რა გაკეთდა საქართველოში". კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. მოწინააღმდეგედ გამოსულა ძველი მენშევიკი შარაშენიძე. სამაგიეროდ მრავალი ორატორები იცავდენ ბარბიუსის დებულებას. სხვათა შორის საკამათოდ პასუხით გამოსულან ფრანსის ჟორდანი და პოლ ლუი, რომელთაც მთელი დარბაზის მქუხარე ტაშის ცემა, შეხვედრია ბარბიუსის დებულებათა დაცვის გამო. იმ დღეს ხსენებული წიგნი „აი რა გაკეთდა საქართველოში", კარგა გაიყიდა და დიდი ხალისითაც იკითხებოდა.

## შენ-ჩენგის წიგნი ფრანგულ ენაზე

პარიზში გამოვიდა ჩინელ მწერლის შენ-ჩენგის ახალი წიგნი „მე და დედაჩემი ჩინეთის რევოლიუციის ქარცეცხლის დროს". „მე და დედაჩემი" შეიცავს მეტად მგრძნობიერ განცდებს, რაიც პირველ სტრიქონებიდანვე იპყრობს მკითხველს. ეს წიგნი გაგრძელებაა პირველი წიგნისა, რომელიც რამდენჯერმე გამოვიდა. „მე და დედაჩემი" ერთსა და იმავე დროს არა მარტო სიახლის სუნთქვაა, არამედ იგი მრავალფეროვანია როგორც ცხოვრება და გონების აღმზრდელი, როგორც წამებული ჩინეთის ისტორიული დოკუმენტი. წმინდა იდეალი და ბუნებური ღიმილი ცრემლების ქვეშ, უსაზღვრო იმედი გამარჯვებისა ჯოჯოხეთურ გლეჯა-ფლეთის დროს, ქაბუკური აღგზნება და ყიჟინა შეურისძიებისა,—აი რა ნიშნის ქვეშ მიდის შენ-ჩენგის წიგნი „მე და დედაჩემი", როგორც თანამედროვე ქვეყნის ვაების აღმხატველი მედროშე...

## „დასავლეთში არა არის-რა ახალი"

ამ სათაურით გამოვიდა გერმანიაში ახალი რომანი ერიხ მარია რემარკისა „In Westen nichts neues". რომანმა მთელი განათლებული ქვეყნების ყურადღება მიიპყრო. სამი თვის განმავლობაში გერმანიაში გაიყიდა 600,000 ცალი ინგლისში ოთხი თვის განმავლობაში 91000 ცალი, ბოლოს საფრანგეთში 11 დღის განმავლობაში 72,000 ცალი. რომანი ეხება მსოფლიო ომს. არავის დღემდე არ მოუცია ყველა ის საშინელებანი, რასაც წარმოადგენდა უკანასკნელი ომი, რომელმაც კაცობრიობა ამოსთხვარა სისხლსა და ტალახში, შიმშილსა და სიტიტველეში, შეარყია სულის სიმშვიდე. გაანადგურა საუკუნოებით დაგროვილი დოვლათი. ყველაზე ზარდამცემი ადგილები რომანში ერთი მომქმედი პირის თავგადასავალია, რომელიც ომს წიგნებით იცნობდა, გადის ბრძოლის ველზე და ჯოჯოხეთი გაეშლება: საფლავები, ნგრევა, განადგურება, მილიონობით უსახელო გმირების ამოჟლეტა, გაზი, ზარდამცემი სცენები, როდესაც გერმანელი ჰფლაშავს ფრანგ მეომარს, სამი დღის განმავლობაში რჩება მის გვერდით, რომ მსხვერპლის სახელი ამოიკითხოს და თვალებს არ უჯერებს, როდესაც ნახავს, რომ ეს მისი საუკეთესო ამხანაგია. რომანი გაჟღენთილია აჯანყებულ სულის სიმძაფრით ყაზარმულ ცხოვრების წინააღმდეგ, საზოგადოდ მილიტარიზმის მოსასპობლად. ყველაზე უმანკო ქმნილებანი, როგორც უდანაშაულო საქონელია, მათი ჟლეტა და სისხლის დაუმთავრებელი წყურვილი, რასაც იწვევს თვით ომი, უკანასკნელი სულთა ბრძოლა დაჭრილებისა შეუძლებელსა ჰყოფს. არ აგაჯანყოთ და არ გათქმევინოთ—„ძირს ომი და კაპიტალიზმის დაუსრულებელი ჯირითი!" სოციალისტურ ქვეყანამ რომანის სახით საუკეთესო იარაღი შეიძინა—წიგნი წარდგენილია ნობელის პრემიის მისაღებად, თუმცა ეჭვობენ, რომ რამე გამოვიდეს აქედან.

## მხატვარი შუმი ესპანეთის სატუსაღოში

ესპანეთის ჯალათურმა მთავრობამ პოლიტიკურ ნიადაგზე დააპატიმრა გამოჩენილი მხატვარი ესპანეთისა შუმი. მან რამდენიმე წელი დაჰყო მძიმე და აუტანელ პირობებში. მას სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ესპანეთისა და ევროპის მუშათა პროტესტმა სიკვდილი სამუდამო კატორღად შეაცვლევინა, შუმმა საპატიმროდან მოახერხა რამდენიმე სურათის გამოქვეყნება.

## თავისუფლება ზურგს აქცევს

ნიუიორკში ზღვის უბნის პირად ამართულია შესანიშნავი ძეგლი —სიმბოლო თავისუფლებისა. ძეგლის თავზე გადმომდგარი ასული ზღვის სივრცისკენ გაიყურება, ქალაქისკენ ზურგ შექცეული. ადგილობრივმა მემარცხენე პრესამ ძეგლი დაახასიათა როგორც სიმბოლო გლეჯა-ყვლეფისა და ავაზაკობისა, რის ლოცვა-კურთხევა მიღებული აქვს ეგრედწოდებულ ამერიკის „დემოკრატიის" მიერ. ამიტომაცაო, ამბობს პრესა, თვით თავისუფლებამ ზურგი შეაქცია ქალაქს! ამ ძეგლის თავზე აცოცდა ერთი უმუშევარი გ ა ლ ფ გ ლ ი ს ო ნ ი, რომელიც დიდხანს უმუშავრად იყო. რომ ვერაფერი გააწყო რა, ძეგლის თავიდან გადმოვარდა და დაიმსხვრა. რევოლიუციონურმა მუშებმა მოითხოვეს ამ ძეგლის მოხსნა.

## შხამიან გაზების მსხვერპლნი

15 მაისს ჩრ. ამერიკაში ოჰაიოს შტატში მოხდა შხამიან გაზების სამი აფეთქება. აფეთქება მოხდა საავადმყოფოში, ცეცხლმა მთელი შენობა ჩანთქა. დაიღუპა 160 კაცი. ამ გაზებს ფარულად ამზადებდნენ განგებ საავადმყოფოში, რომ მზადების ამბავი არ გამჟღავნებულიყო.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველ ქალაქს აქვს კუჭი. ყოველდღე ეს კუჭი ნთქავს ათას ვაგონობით სანოვაგეს. ქუჩიდან რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ამ კუჭს აქვს ნაწლავები—ანუ კანალიზაცია, საიდანაც გადის ყოველგვარი ჭუჭყი და სიბინძურე და ქალაქი იწმინდება. ამ ნაწლავებით ქალაქის ქუჩები დახლართულია, ზოგიერთ ადგილას ეს ნაწლავები დიდი გვირაბებია, სადაც იძულებულია იმუშაოს ადამიანმა. ასეთი ადამიანები—მუშები იცავენ ქალაქებს ყოველგვარ მოსალოდნელი ეპიდემია-ჭირისგან. სურათზე ნაჩვენებია ქუთაისის კანალიზაცია.



ქუთაისის წყალსადენი



მსროლელი ქალი დავითაშვილი, რომელმაც მიიღო პირველი ჯილდო სროლაში მცირეკალიბიან თოფიდან. ამხ. დავითაშვილი იგზავნება მოსკოვში სრ. საკავშირო სასროლ შეჯიბრებაზე.



მწყემსები იალაღზე



137 წლის აზერბაიჯანის მუშა-გლეხი

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68.

# მეცნიერება შრომის საფუძვლად

## მშენებელ მუშების მომზადება შრომის საკავშ. ინსტიტუტის მეთოდებით

### კალატოზების მოსამზადებელი კურსები თბილისში.

ვ. დ—ძე

გაზაფხულზე, როცა ხარაჩოები ფარავს შესაკეთებელ შენობებს და აჩქარებულის ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა, ქალაქში ჩნდება ახალი ხალხი—სეზონური მუშები.



ფოტო—კოგანის

**ამოყვანილი კედლის შემოწმება თარაზოთი.**

სეზონური მშენებელი, მჭიდროთ დაკავშირებული სოფელთან, ქალაქში მოდის მხოლოდ დროებით, სანამ მშენებლობის სეზონია. იგი წარმოადგენს ყველაზე უფრო შეუკავშირებელ მუშას.

ქალაქის ცხოვრება, საზოგადოებრივი ცხოვრება, მას თითქო არ ეხება, მისგან დაშორებით მიმდინარეობს.

ორმაგი მიზნით: კვალიფიციურ მშენებლობათა კადრების შექმნისა და შრომის ბირჟების უმუშევართაგან განტვირთვის მიზნით, შრომის ცენტრალურ ინსტიტუტთან (მოსკოვშია) მოეწყო ზოგიერთ კვალიფიკაციის უმუშევართა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები.



ფოტო-ა. კოგანის

**მუშაობა დამთავრდა.**

ჩვენში მოზარდთა მომზადების საქმე ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ არის მოგვარებული. საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლა დიდ დროს მოითხოვს" კიდევ არის დარჩენილი ახალი კადრების ძველებურად, „მამა-პაპურად" მომზადების წესი. მოზარდი ოსტატისგან მექანიკურად ითვისებს მუშაობის ხერხებს, ხშირად არც კი იცის, თუ რისთვის არის საჭირო მუშაობის ესა თუ ის მეთოდი.

შრომის ცენტრალურმა ინსტიტუტმა სწორედ ამ წაბაძვის, მექანიკური სწავლების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა და წაბაძვითი სწავლებას დაუპირისპირა სწავლების მეცნიერული მეთოდები, მეცნიერული შრომა.

შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსები, რომლებიც რუსეთში დიდი ხანია არსებობენ, ჩვენში მხოლოდ ამ თვენახევრის წინად გაიხსნა.

მოწყობილია ეს კურსები თბილისში. პირველ პარტიაში სწავლობს 142 კაცი, სხვადასხვა პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.



ფოტო—კოგანის

**კედლის ამოყვანა.**

კურსებზე ჯერ მეცადინეობა სწარმოებს მხოლოდ კალატოზების ცეხში. კალატოზებზე ამჟამად ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა. შემდეგში გაიხსნება ლითონის დამმუშავებელთა და სხვა ცეხები.

ძველი კალატოზი კედლების ამოშენების დროს წელში მოხრილი მუშაობს. მუშაობის ასეთი წესი, გარდა იმისა, რომ შრომის ნაყოფიერებას ამცირებს, ამავე დროს გავლენას ახდენს მუშების ჯანმრთელობაზეც.

მთელ რიგ ლაბორატორული ცდების საშუალებით შრომის ცენტრალურმა ინსტიტუტმა გამონახა ყველაზე უფრო რაციონალური მეთოდი კალატოზის მუშაობისათვის და ახლა ახალგაზრდა კალატოზები კურსებზე მუშაობენ წელში გამართულნი.

რომ შევადაროთ ჩვენებური და გერმანელი კალატოზის შრომა, უპირატესობა უკანასკნელის მხარეზე იქნება. ჩვენებური კალატოზის დაბალი შრომის ნაყოფიერება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ იგი აუარებელ დროს ხარჯავს ზედმეტ მოძრაობაზე.

კურსებზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მუშაობის ასეთ ქაოტიურ მეთოდებთან.

დაწყებული უმარტივეს გაკვეთილიდან—ხელების ვარჯიშობიდან, კურსანტებს არჩევენ აგურის ხელში აღების და კედლის ამოყვანის ერთგვარ, განსაზღვრულ წესს. ჩაქუჩის წესიერ მოხმარებას მუშაობის მთელ რიგ სხვა, ერთი შეხედვით წვრილმან, მაგრამ საჭირო, აუცილებელ და ეკონომიურ ხერხებს.

და მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, ყოველივე საჭირო ხერხების საფუძვლიანად შეთვისების შემდეგ იწყებს კურსანტი კედლის ამოყვანის პრაქტიკულად შესწავლას.

მომავალი კალატოზების სამუშაო დღე იწყება ტანვარჯიშობით.

პრაქტიკული მუშაობა და სხვადასხვა ტიპის შენობათა შესწავლა აქ პარალელურად მიმდინარეობს. კურსანტები ამგვარ მეცადინეობაში ატარებენ 6 საათს.

შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მიერ მომზადებული კალატოზების გამოცდამ ცხადყო, რომ ისინი არიან მშვენიერი კვალიფიკაციის ხელოსნები. ამგვარი გამოცდის აქტები—საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ შრომის ინსტიტუტის მიერ აღებული გეზი სწორია.

სწავლებას, რომელზედაც წლები იხარჯებოდა, ინსტიტუტის კურსებზე მხოლოდ სამი თვე სჭირდება.

კურსანტები ეჩვევიან მტკიცე შრომის დისციპლინას და ამ დისციპლინას ატარებენ ყველგან, სადაც კი მათ უხდებათ მუშაობა, იბრძვიან ხელსაწყოების მოვლისათვის და თვით პროდუქციის ღირსებისათვის.



ფოტო—კოგანის

**სამშენებლო მასალის დამზადება.**

სწავლების „მამა-პაპურ" ხერხებს ბოლო ელება.

„მიბაძვითი" სწავლების ადგილს იკავებს შეგნებული შრომა მეცნიერულ საფუძველზე.

# ტარტაროზი



იმპერიალიზმი ჩინეთს ხურგს უმაგრებს!



— ვასილ, როდის დაიწყეთ წერა?
— აბა, რა მოგახსენო, აი რაღა მახსოვს? მე როცა პირველად კალამი ავიღე, მაშინდელი ჩემი მოწაფე ბავშვები დაჭკუაცდნენ, ზოგს იუბილე ც გადაუხადეთ, დაბერდნენ და დაიხოცნენ... დავრჩი მე, მათი მასწავლებელი, ქენტად!
— მაშ თქვენ უფრო ადრე გვკუთვნით იუბილე!
— ი, შენ კი გაიხარე! აბა, რა ვიცი, კაცო! ვითომ მე მაგის ღირსი ვიყო?



ალ. წუწუნავა: კოტე, ძმია, ოლიმპიადაზე რა დაგვემართა? რავა შეგვარცხვინე?
კ. ფოცხვერაშვილი: სხვა კი შევარცხვინე, მარა მე ზორბა ვიყავ, ზორბა დავრჩი!



—ეს რა უბედურებაა! კაცს არ დააცლიან, საფუძვლიანად ან გაფლანგოს, ან მავნებლობა ბოლომდე მიიყვანოს, ჭკრავენ კუკუს და ჰაიდა! ძველი რეჟიმის დროს ქრთამს მაინც მივცემდი, ეხლა ვის რა კაკალი ვუყარო?



— დღეს არ მცალიან ხვალ მოდი!
— უკაცრავად! დღესვე უნდა დამითმოთ თქვენი თანამდებობა.
— ?!

მთავლიტი № 1163 ტირაჟი 4,250 3/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა.